ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1989 წლის მაისიდან
იბეჭდება თვეში ერთხელ

№ 6

6 ნოემბერი, ორშაბათი,
1989 წელი

„ მთვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვცდილობ ეხლა სხვა ვარსკვლავს...“

# ქართველის დედა

ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის პერიოდული გამოცემა

საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების

29 ოქტომბერი
1989 წელი

## ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი

## კ ო მ უ ნ ი კ ე

ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული-დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია, ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია - ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ვიწყებთ ერთიან ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული ხსნისა და აღორძინებისათვის.

მერაბ კოსტავას ნათელი სული მოგვიწოდებს გაერთიანებისაკენ, რამეთუ მისი ოცნება იყო საქართველოს ყველა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია და ერთობლივი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. აღსრულდა მისი ოცნება, დე იყოს ნება მისი!

ჩვენს შორის მიღწეულია პოზიციათა შეთანხმება საჭირბოროტო ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით, რამეთუ ჩვენს პროგრამებსა და პოლიტიკურ შეხედულებებს შორის ნიუანსური განსხვავებანი არ გვაძლევს დაქსაქსული, სეპარატისტული მოქმედების საფუძველს, მით უმეტეს, რომ ჩვენი მიზანი ერთია - ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა. ამიერიდან ჩვენ ურთიერთთან შევათანხმებთ ტაქტიკურ და სტრატეგიულ საკითხებს, აქციებს დავგეგმავთ და განვახორციელებთ ერთობლივად და ვიმოქმედებთ საერთო გადაწყვეტილებების საფუძველზე. სადავო და საკონფლიქტო საკითხებს გადავწყვეტთ მოლაპარაკების გზით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია და ეროვნული სამართლიანობის პარტია ბრუნდებიან ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში, ხოლო მონარქისტული პარტია და ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია - შემოდიან ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი

**ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის შემადგენლობა:**

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

1. ირაკლი წერეთელი
2. თეიმურაზ სუმბათაშვილი
3. თორნიკე ფიფია

წმინდა ილია მართლის საზოგადოება

4. ირაკლი ბათიაშვილი
5. ვაჟა ადამია
6. გურამ გოგბაიძე

საქართველოს ჰელსინკის კავშირი

7. ზვიად გამსახურდია
8. ავთანდილ რცხილაძე
9. თემურ ქორიძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

10. გიორგი ჭანტურია
11. ირინა სარიშვილი
12. ირაკლი ქადაგიშვილი

ეროვნული სამართლიანობის პარტია

13. ირაკლი შენგელაია
14. ირაკლი მელაშვილი
15. ზაზა ზამთარაძე

მონარქისტული პარტია

16. თემურ ჟორჟოლიანი
17. იასონ ფავლენიშვილი
18. გია ხონელიძე

საქართველოს დემოკრატიული პარტია

19. ვაჟა მთავრიშვილი
20. ვახტანგ ტალახაძე
21. თენგიზ შარმანაშვილი

ქრისტიან დემოკრატიული ასოციაცია

22. ირაკლი კაკაბაძე
23. შალვა ვასაძე
24. დათო გამყრელიძე

საქართველოს ეროვნული ღირსების კავშირი

25. თენგიზ ღიხამინჯია
26. გიზო კორძაძე
27. ჯუმბერ ხუნდაძე

თავისუფალ დემოკრატთა კავშირი

## ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის

## წ ე ს დ ე ბ ა

**პრეამბულა**

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა გადავიდა განვითარების ისეთ სტადიაში, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება ერთობლივი ძალისხმევითა და საყოველთაო ეროვნული მობილიზაციით შეურიგებელი, უკომპრომისო და მიზანდასახული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ თვალსაზრისით, მიზნის მისაღწევად განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ერის პოლიტიკურ კონსოლიდაციას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს საქართველოში დღეს არსებული წამყვანი ეროვნულ-პოლიტიკური, დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების შეკავშირებას ერთ ალიანსში, პარიტეტულ საწყისებზე. მხოლოდ საერთო ძალისხმევით მიიღწევა თავისუფალი საქართველო, და დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც ისტორიული სუბიექტის, საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში თვითდამკვიდრების გარანტია ეროვნული ერთიანობაა, რამეთუ საქართველოს გაერთიანებით დაიწყო დიად ეროვნულ საქმეთა აღსრულება დავით აღმაშენებელმა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის კონსოლიდაციისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა თავისი მოწამეობრივი ცხოვრების გზაზე საქართველოს ეროვნული გმირი მ ე რ ა ბ  კ ო ს ტ ა ვ ა.

1989 წლის 29 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლთან, საყოველთაო სახალხო მანიფესტაციის დროს მომხდარი ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შეთანხმების საფუძველზე მოხდა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ერთიანობის რესტავრაცია, რაც ნიშანდობლივი საწყისია იმ გაერთიანებული თავგანწირული ბრძოლისა, რომელსაც გასწევს ქართველი ერი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თავისუფლება არსებობის უზენაესი მდგომარეობაა, რომლის მოპოვება იწყება უაღრესად რაინდული და ზნეობრივი ცხოვრებით და საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალ ფაზაში გადასული საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე უზრუნველყოფს მორალურ-ეთიკური კრიტერიუმებითა და პრინციპებით განსაზღვრულ მოქმედებას.

## ძ ი რ ი თ ა დ ი  ნ ა წ ი ლ ი

**მუხლი პირველი** - საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი არის ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა პარიტეტულ პრინციპებზე აგებული თავისუფალი, ნებაყოფლობითი და დემოკრატიული ერთიანობა.

**მუხლი მეორე** - საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში ერთიანდებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც შეიარაღებული აგრესიის უშუალო შედეგს არ ცნობენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელმწიფო წყობილების არსებობის, საქართველოს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე.წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის კანონიერებას და მიზნად ისახავს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოში დემოკრატიული მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას.

**მუხლი მესამე** - საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მოქმედებს თანასწორუფლებიანობისა და ერთხმიანობის პრინციპებით.

**მუხლი მეოთხე** - საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში მიიღებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ჩამოყალიბებული სახე და წარმოადგენენ თავიანთ წესდებასა და პროგრამას.

**მუხლი მეხუთე** - ყოველი პოლიტიკური პარტია, და ორგანიზაცია საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში წარმოდგენილია არაუმეტეს სამი წევრით.

**მუხლი მეექვსე** - საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტია და ორგანიზაცია ინარჩუნებს სრულ ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას და უფლებამოსილია იმოქმედოს დამოუკიდებლად საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტისაგან, თუ არ მოხერხდა საერთო შეთანხმების მიღწევა ამა თუ იმ საკითხზე.

**მუხლი მეშვიდე** - საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების საერთო შეთანხმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა ყველა წევრ პარტიისა თუ ორგანიზაციისათვის.

**მუხლი მერვე** - ზნეობრივი პრინციპების მკაცრი დაცვით ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალ ნებისმიერ პარტიასა და ორგანიზაციას შეუძლია გააკრიტიკოს საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

**მუხლი მეცხრე** - საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან გასვლა ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის თავისუფალია.

**მუხლი მეათე** - ხმათა უმრავლესობით საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან მასში შემავალი რომელიმე პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის გაყვანა აკრძალულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



3 ნოემბერი 1989 წელი

## განცხადება

1989 წლის 31 ოქტომბერს ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე აერთიანებს საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წამყვან პოლიტიკურ ორგანიზაციებს და კერძოდ – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას, წმ.ილია მართლის საზოგადოებას, საქართველოს ჰელსინკის კავშირს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ეროვნული სამართლიანობის პარტიას, საქართველოს კონსტიტუციური-მონარქიის პარტიას, საქართველოს დემოკრატიულ პარტიას, ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდულ კავშირს, ეროვნული ღირსების კავშირს – მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ დღევანდელი საქართველოს მთელი მასშტაბით ჩატარებულ იქნას საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა საკითხზე: გსურთ თუ არ გსურთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი განხილულ იქნას საერთაშორისო სამართლის დონეზე.

ამა წლის 3 ნოემბრიდან ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი იწყებს აღნიშნულ საკითხზე საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის ორგანიზებულ მომზადებას. შექმნილია საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის ცენტრალური კომისია; შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის ჩატარების კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებაზე. ცენტრალური კომისიის სრული შემადგენლობა და ადგილ-მდებარეობა, საყოველთაო სახალხო კენჭისყრის კანონ-პროექტი და საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის დაწყების თარიღი უწყებულ იქნება საქართველოს მთელი კანონიერი მოსახლეობისათვის უახლოეს მომავალში.

ზემოთაღნიშნულ საკითხზე საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის საბოლოო შედეგებს, რომელიც გამომხატველი იქნება საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ჭეშმარიტი ნებისა, ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის მიერ გამოყოფილი დელეგატები წარუდგენენ საერთაშორისო სამართლებრივ ორგანიზაციებს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპის საბჭოს, ევროპის პარლამენტს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ დიდ საქმეში!

## განცხადება

ახლოვდება 7 ნოემბერი, ყველა თავისუფლებისმოყვარე ერისათვის საძულველი თარიღი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია/ დემოკრატებისა/ და როიალისტთა პარტია თვლის, რომ ამ დღეს სამხედრო პარადის ჩატარება საქართველოს დედაქალაქში, თანაც 9 აპრილის შემდეგ, არის ქართველი ერის შეურაცხყოფა, მისი ღირსების ფეხქვეშ გათელვა.

ზ.ა. პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა განცხადებით მიმართეს გივი გუმბარიძეს, სადაც აღნიშნული იყო პოლიტიკურ პარტიათა დამოკიდებულება ოქტომბრის გადატრიალებისადმი, აგრეთვე, გათვალისწინებული იყო ის მოსალოდნელი შედეგები, რაც ამ თარიღის "საზეიმო" აღნიშვნას აუცილებლად მოჰყვება.

ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ერს, რომ შვიდ ნოემბერს, დილის ათ საათზე თავი მოიყაროს ფილარმონიის შენობასთან, სადაც, სამხედრო პარადის ჩაშლის მიზნით/ განზრახული გვაქვს ცოცხალი ჯაჭვით ტანკებისათვის გზის გადაღობვა/, ჩატარდება საპროტესტო მიტინგი.

ხაზს ვუსვამთ: სამხედრო პარადს ჩაშლიან მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებათა წევრები, ხალხმა ამ აქციაში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ქართველმა ერმა მონაწილეობა მხოლოდ მიტინგში უნდა მიიღოს, რომელიც დილის ათ საათზე დაიწყება.

ღმერთი იყოს ივერის მფარველი!

დე, ქართველობამ 7 ნოემბერს, დილის ათ საათზე, ტანკების დამარცხების შემდგომ, იზეიმოს მერაბ კოსტავას ჭეშმარიტი უკვდავება, რომელიც შვიდი ნოემბრის "დღესასწაულის" ჩაშლის პირველ შემთხვევასთან იქნება დაკავშირებული.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/

როიალისტთა პარტია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია–IV დასი

სარწმუნოებრივ-რადიკალური პარტია–ეროვნული სამართლიანობის კავშირი

22 ოქტომბერი, 1989 წ.

## საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტიის

## პროგრამული პრინციპები

I. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისა და კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებისათვის.

2. ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით აწარმოებს.

3. საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებისათვის კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია – საპარლამენტო ბრძოლის გზასა და რეფერენდუმს მიმართავს.

4. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია ერთადერთ კანონიერ სამეფო დინასტიად საქართველოში – ბაგრატიონთა სამეფო სახლს მიიჩნევს.

5. მონარქი დამოუკიდებელ საქართველოში არის სახელმწიფოს მეთაური, რომლის უფლებები განსაზღვრულია კონსტიტუციით.

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავს – საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეული – პარლამენტი და მთავრობა.

6. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია იბრძვის საქართველოში და მის ტერიტორიებს გარეთ მცხოვრები ყველა ქართველის ინტერესების დასაცავად.

7. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლურ ქრისტიანობას თვლის და აღიარებს სარწმუნოებრივ თავისუფლებას.

8. თავისუფალ საქართველოში ადამიანთა უფლებები განისაზღვრება ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, ჰელსინკის ხელშეკრულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

9. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია იბრძვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

10. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია თვლის, რომ საქართველოს მიწა-წყალი ქართველი ერის საკუთრებაა; იგი ცნობს საკუთრების ოთხივე – კერძო, სახელმწიფო, შერეულ და კოოპერაციულ ფორმებს.

11. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია იბრძვის მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტის შექმნისათვის.

12. კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია თანადგომას უცხადებს ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალას.

ჩვენი დევიზია: „ მეფე, სამშობლო, სარწმუნოება".

## ღია წერილი ქართველ კინემატოგრაფისტებს

დღეს დღის წესრიგში დგას კინოთეატრ „ქართული ფილმის" ლიკვიდაციის საკითხი, თანაც ძალზე აქტუალურად: ხელმოწერილია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ამჟამად არსებული კინოთეატრ „ქართული ფილმის" შენობა უნდა დაეთმოს ახალგაზრდულ ცენტრს, გადაწყვეტილებას ამტკიცებს მთავრობის ხელმძღვანელის რეზოლუცია – „გადაეცით არსებული წესის მიხედვით".

გეკითხებით: რომელი არსებული წესის გამო უნდა გაუქმდეს ქართული კინოს ორი პატარა დარბაზი, სადაც მისი არსებობის 10 წლის მანძილზე ჩატარდა 48 800 სეანსი და აქედან უმეტესი წილი დაეთმო ქართული მხატვრული, ქართული დოკუმენტური თუ ქართული მულტიპლიკაციური ფილმების ჩვენებას? თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე კინოთეატრი მოემსახურა 3 000 000 მაყურებელს, აქედან ნახევარზე მეტმა ნახა ქართული მხატვრული, ქართული დოკუმენტური თუ მულტიპლიკაციური ფილმი.

გეკითხებით: სად, რომელ დარბაზში ნახავენ ამის შემდეგ თავის ფილმებს დედაქალაქში მცხოვრები ქართველები? სად წავა, უფრო სწორედ, რომელ კინოთეატრში გადაინაცვლებს სადემონსტრაციოდ, დიდი ეკრანებიდან „ჩამოსული" ქართული ფილმი, სად, რომელ კინოთეატრში მოხდება მისი კინემატოგრაფიული „დღეგრძელობა?" ძალიან მაინტერესებს ქალაქის რომელ რაიონში გაიხსნება და როდის, ქართული კინოს ახალი კინოთეატრი, სადაც მოხდება არა მარტო დედაქალაქის, არამედ თბილისის გარშემო ტერიტორიის მოსწავლე-ახალგაზრდობის ქართული კინოთი „ნათლობა".

ძალიან მაინტერესებს და დარწმუნებული ვარ, განმიმარტავთ – ძალიან კარგად აწყობილი საქმე რატომ უნდა დაინგრეს აწ კარგად ასაწყობი საქმის გამო?

რატომ არის ქართული კინოს კინოთეატრის ბედი შეგდებული სასწორზე და ვინ არის ის ყოვლისშემძლე სპონსორი, რომელსაც იმაზე მეტი ძალა შესწევს, ვიდრე ჩვენ ყველას, ერთად აღებულთ? რატომ არიან ახალგაზრდები განსაკუთრებით დაინტერესებულნი ქართული კინოს კინოთეატრის გაუქმებით და რატომ დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი საერთოდ? ნუთუ არ შეიძლებოდა სხვა სარდაფის ტიპის სათავსოს გამოძებნა, თუ ასე ძალიან მოსწონთ სარდაფები?

კიდევ ერთი შეკითხვა: კინოთეატრით დაინტერესება გასული წლის ნოემბრის თვიდან დაიწყო, მაგრამ მისი ლიკვიდაციის საკითხი აპრილ-მაისის თვეში გადაწყდა, ახალგაზრდული ცენტრის მესვეურთა დაჟინებული მცდელობის შედეგად: ყოველივე ამას ა/წ 9 აპრილს ჩემს მიერ კომპარტიის რიგების დატოვებამ ხომ არ მისცა ბიძგი?! თუმცაღა, ჩემი ოპონენტების მიერ აპრილ-მაისის თვეში გამოვლენილი დაჟინება კ/თ დარბაზების მათთვის გადაცემის საკითხში ეჭვს არ მიტოვებს „ახალგაზრდებისა და მათი სპონსორების დიდი პატრიოტული საქმეებისათვის მზადებასა და აქედან გამომდინარე შედეგების ჭეშმარიტ ეროვნულობაში"...

აპრილ-მაისის თვეში არაერთგზის მესტუმრა ახალგაზრდული ცენტრის მთავალი ხელმძღვანელი, არაერთგზის გვქონდა საუბარი ქუჩაში შეხვედრისას. საბოლოო საუბარი ჩემი თხოვნით 20 მაისისათვის იქნა გადადებული, რამეთუ იმ დღეებში, ისევე, როგორც ყველა თქვენთაგანს, არც მე მილხინდა.

დარწმუნებული ვარ, აპრილ-მაისის თვეში ბატონი ელდარ შენგელაია თბილისში რომ ყოფილიყო და ისეთივე ჩვეულებრივი სადაგი დღეები ჰქონოდა, როგორც ეს ზოგიერთ ამხანაგს, მსგავსი პრობლემა არ დადგებოდა.

ყველაფერ ზემოთქმულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქართული კინოს კინოთეატრის ლიკვიდაციის მცდელობა ანტიეროვნული ქმედებაა. დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა არ არის მხოლოდ დაინტერესებულ პირთა გადასაწყვეტი, ეს ყველა ქართველი კინემატოგრაფისტის საქმეა.

ამიტომ, გამოვდივარ რა საერთო საქმის ასე ხელაღებით მოშლის წინააღმდეგ, მოვითხოვ ამ ანტიეროვნული გადაწყვეტილების გაუქმებას.

დარწმუნებული ვარ ქართველ კინემატოგრაფისტთა თანადგომაში.

ამ საკითხზე წერილი გამოსაქვეყნებლად გადავეცი გაზეთ „ქართული ფილმის" რედაქტორს ქალბატონ ნატო ციციშვილს, რომელმაც ეტყობა ეს ფაქტი ნაკლებად ეროვნულ საქმედ მიიჩნია...

ულრმესი პატივისცემით

კინოთეატრ „ქართული ფილმის" დირექტორი

ა. ფანჩულიძე

1989 წელი, სექტემბერი.

რედაქციისაგან:

«ქართვლის დედას» რედაქციამ წერილი მიიღო 1989 წლის 5 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დ რ ო ა . . .

გთავაზობთ ახალ, სამეცნიერო-პოლიტიკურ რუბრიკას დ რ ო ა . . . იგი დაბეჭდავს მკითხველის მიერ მოწოდებულ სამეცნიერო-პოლიტიკური ხასიათის წერილებს ქართველი ხალხის მტკივნეულ პრობლემებზე. პირველად რუბრიკაში «დ რ ო ა . . .» გთავაზობთ - გარკვეული მოსაზრებებით რუსულ ენაზე დაწერილ და გადმოქართულებულ წერილს, რომლის ავტორი - რედაქციასთან არსებული სამეცნიერო ჯგუფია.

## ვილაპარაკოთ სიმართლე აფხაზეთის შესახებ

### (ორსაუკუნოვანი ტაბუს შემდეგ)

საქართველომ, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრმა ქვეყანამ, თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დამოუკიდებელი გზა გაიარა.

გეოგრაფიულად საქართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად იყოფა. დასავლეთ საქართველოს უძველესი სახელწოდებაა - «კოლხიდა», აღმოსავლეთისა - «იბერია». დასავლეთ საქართველო (კოლხიდა) შედგება შვიდი პროვინციისაგან (წარსულში სამეფოები ან სამთავროები): იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი. აღმოსავლეთ საქართველო (იბერია) შედგება ცხრა პროვინციისაგან (წარსულში ასევე სამეფოებისა ან სამთავროებისაგან): ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი, მთიულეთი, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, თუშეთი, ჰერეთი. ამ პროვინციებისაგან შედგება საქართველოს ისტორიული ტერიტორია, სადაც უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ ქართველები, ისევე, როგორც საფრანგეთის პროვინციებში -ბრეტანში, გასკონში, პროვანსში, ბურგუნდიაში და სხვ. ცხოვრობენ ფრანგები; გერმანიის მიწებზე - ბავარიაში, საქსონიაში, ვესტფალიაში, პრუსიაში და სხვ. - ცხოვრობენ გერმანელები; აქ უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება.

საუკუნეთა მსვლელობის მანძილზე საქართველოს რომელიმე სამთავრო ( ან სამეფო) აერთიანებდა საქართველოს თავისი ეგიდის ქვეშ და მთელი სახელმწიფო გამაერთიანებელი ფეოდალური ერთეულის სახელწოდებას იღებდა. მაგალითად, რამდენიმე ხნის განმავლობაში (IX-X სს.) დასავლეთ-საქართველო ატარებდა აფხაზეთის სამეფოს სახელს. უფრო ადრე (I-IV სს.) საქართველო ეგროსის (სამეგრელოს) სამეფოდ იწოდებოდა. მოგვიანებით ეკონომიკურად და პოლიტიკურად მთელი საქართველო ქართლის სამეფომ გააერთიანა. სწორედ ამიტომ ქვია მას დღეს საქართველო, ხოლო ქართველებს - ქართველები.

XVI საუკუნის ბოლოს დაიწყო, ჯერ მონგოლებთან, შემდეგ კი მუსულმანურ სახელმწიფოებთან (სპარსეთი, არაბეთი, თურქეთი) გამანადგურებელი ომებისაგან, ასევე ჩრდილო კავკასიის მუსულმანური ტომების უსასრულო თავდასხმებისაგან დასუსტებული ქრისტიანული საქართველოს თანდათანობითი დაცემა. დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის პროვინციაში იმძლავრეს ეპიდემიებმა ( განსაკუთრებით მალარიამ), რომლებმაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიცოცხლე შეიწირეს.

XVII საუკუნეში ჩრდილო კავკასიიდან ქედის გავლით შავი ზღვის მთისწინეთის სანაპიროების შეთხელებულ მოსახლეობაში აფსარების (აფსუების) მომთაბარე ტომებმა დაიწყეს დასახლება; მათ თავიდან გზიფის ხეობა დაიკავეს, შემდეგ კი, XIX საუკუნის ბოლოსათვის, მთელი ტერიტორია გაგრიდან ახალ ათონამდე. სწორედ ეს ტომები გვევლინებიან თანამედროვე «აფხაზების» წინაპრებად. თავის ენაზე ისინი თავს აფსუას (აფსუებს) უწოდებენ, შეინარჩუნეს რა თავიანთი ნამდვილი წარმომავლობა - ასე ვთქვათ შინაური ხმარებისათვის. ასე იწოდება დღეს სოხუმის გამომცემლობა, გაზეთი, ჟურნალი, სასტუმრო, კინოთეატრი და ა.შ. გარე სამყაროს აფსუები თავს «აფხაზებად» აცნობენ, და ეს მეორე სახელდება ერთადერთ მიზანს ისახავს: დაამტკიცონ თავიანთი უფლებები საქართველოს აფხაზურ პროვინციაზე.

პირველ, მეტნაკლებად ზუსტ ცნობას აფსუების რაოდენობაზე ქუთაისის გუბერნიის 1829 წლის მოსახლეობის აღწერა გვაწვდის. მაშინაც და მოგვიანებითაც აფსუები ოლქის მოსახლეობის სრულ უმცირესობას (35 ათასი) შეადგენდნენ. გასული საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის მეფე ალექსანდრე მესამემ ახლანდელი გაგრის რაიონი პრინც ოლდენბურგსკის აჩუქა (I) სწორედ პრინცის მიერ მოწვეულმა გერმანელმა სპეციალისტებმა განახორციელეს აფხაზეთის ამ რაიონის პირველი სამეცნიერო გამოკვლევა. ოლქის ფლორისა და ფაუნის, ატმოსფეროსა და გეოლოგიურ თავისებურებათა სკრუპულოზურ დახასიათებებს შორის - ნაკლებგანვითარებული, ნაწილობრივ ისლამიზირებული, ნაწილობრივ ქრისტიანობამიღებული, თუმცა კი თავისი უმრავლესობით წარმართი, მესაქონლეობას მიმდევარი ხალხის ეთნოკულტურის აღწერაცაა მოყვანილი... თანამედროვე «აფხაზები» აფხაზეთის მოსახლეობის 17,5% შეადგენენ, შემდეგ მოდიან სომხები - 16%, რუსები - 15%, სხვა ხალხები -5,5% და ქართველები - 46%.

თუ აფსუები ის უძველესი ხალხია, რომელიც აფხაზეთის პროვინციის ტერიტორიაზე ქრისტიანობამდელ ხანაში ცხოვრობდა, განა შეიძლება ამ მიწას არ შეენარჩუნებია მათი მრავალსაუკუნოვანი აქ ყოფნის თუნდაც რაიმე კვალი? ოლქის მატერიალური კულტურა ხომ პირველი და უდაო მაჩვენებელია ვინმეს ყოფნის ან არ ყოფნისა ამ მიწაზე? თუმცაღა საქართველოს მთელი შავიზღვისპირეთის კულტურა, ე.ი. უძველესი კოლხეთის მთელი ტერიტორია, ჩაძირული ქალაქის ნაგებობანი (სოხუმთან), სასახლეების ნანგრევები, სამარხები, ტაძრები და ეკლესიები, მათი მოხატულობა და წარწერები და ა.შ. მხოლოდ და მხოლოდ ქართულ სურათს წარმოგვიდგენს. ქრისტიანობამდელ პერიოდში ესაა - საყოველთაოდ ცნობილი კოლხური კულტურა გაფორმებული ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში და თავისი მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადობით და ხვდური (ძვ.წელთაღრიცხვის V ს) შავი ზღვის სანაპიროზე შემოჭრილი ბერძნული სამეურნეო-კულტურისა (იხ.სტრაბონიდან და ჰეროდოტიდან დაწყებული ჩვენი დროის ავტორებამდე). მოგვიანებით IV საუკუნეში საქართველოს მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურა ბიზანტიის კანონიზებული ეკლესიის ესთეტიკის გავლენას განიცდის და აფხაზეთის ათობით ქრისტიანული ტაძარი (ხოლო სხვა კულტურული ნაგებობები, ისლამურიც კი, მიუხედავად მრავალგზისი ისლამური თავდასხმებისა აქ არ არის) ისევეა ქართული, როგორც საქართველოს სხვა პროვინციებში - სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში, ჰერეთში და სხვ. რაც შეეხება «აფხაზურ» (აფსარულ) მატერიალურ კულტურას - იგი უბრალოდ არ არსებობს და სოხუმის ისტორიული მუზეუმი ვერაფრით, გარდა XVII-XIX საუკუნის აფსარული საყოფაცხოვრებო ნივთებისა, დამთვალიერებელს ვერ გაახარებს. ხალხმა, რომელსაც პრეტენზია აქვს «უძველეს», «მრავალსაუკუნოვან» კულტურაზე, ვერ შესძლო დაეტოვებინა შთამომავლობისათვის ნიშანი, რომელიც არსებული რელიგიის შესახებ პრიმიტიული ნაგებობით თუ არა, ტოტემური სვეტის სახით მაინც მიუთითებდა.

ენობრივი მოკვლევის ფაქტებიც იმდენადვე უდაოა, როგორც მატერიალური კულტურისა. აფსუები თავის თავს აფხაზებს უწოდებენ მაშინ, როდესაც აფსუურ ენაში (მეტყველებაში) არ არის სიტყვები: სახელმწიფო, მეფე, სამეფო, თავადი, მმართველი და ა.შ. (იხ.რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, სოხუმი, 1964 წ.). მაშ როგორღა არიან ისინი იმ აფხაზთა ჩამომავალნი, ვისი სამთავროც ოდესღაც საქართველოს ყველა პროვინციას ერთიან ფეოდალურ სახელმწიფოდ აერთიანებდა ?!

ვერც აფსუების ზეპირმა გადმოცემებმა შემოინახეს (წერილობითი არ შეიძლებოდა შემონახულიყო იმდენად, რამდენადაც მათ XIX საუკუნემდე დამწერლობა არ ჰქონდათ) ვერავითარი ცნობა - წაგებული ან მოგებული ომებისა ან ბრძოლების შესახებ, ისევე, როგორც ვერ შემოინახეს თავიანთი მხედართმთავრების, სახელმწიფო მოღვაწეების, გმირების სახელები; ბოლოს ვერ შემოინახეს ვერცერთი იმ ქრესტომათიულ სახელთაგან, რომლის გარეშეც არ შეიძლება იარსებოს ოდნავ განვითარებული საზოგადოებრივი წარმონაქმნის მეტნაკლებად გარკვეულმა ისტორიამ.

ის, რომ სოფლის მეურნეობის იარაღის აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთაც ახლანდელი «აფხაზები» მეტყველებისას ხმარობენ «აფხაზური» ძირი არა აქვთ, კვლავ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ხალხი წარსულში მიწათმოქმედი არ ყოფილა, იგი მომთაბარეობას ეწეოდა.

მთელი «აფხაზური» ფოლკლორი პირწმინდად ჩრდილოკავკასიურია - ანტიკური ან ქრისტიანულ-ქართული მითოლოგიის ყოველგვარი შერეული გავლენის გარეშე, გავლენისა, რომლითაც აღინიშნება უკლებლივ მთელი კოლხური ფოლკლორი, ე.ი. ფოლკლორი საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრები ხალხებისა. ოლქის დედაქალაქის უძველესი ქართული სახელწოდება - სოხუმი (ცხუმი) იხსენიება ბერძნულ, რომაულ, ბიზანტიურ, არაბულ და სომხურ მატიანეებში. სოხუმის - აკუას «აფხაზური» სახელწოდება არც ძველ და არც ახალ წყაროებში ნახსენები არ არის.

ამგვარად, მხოლოდ უმეცრებს შეუძლიათ გააიგივონ აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა ხალხთან, რომელმაც მის მიერ მითვისებული საცხოვრებელი ტერიტორიის სახელწოდება შეირქვა. ეროვნება «აფხაზი» ისევე არ არსებობდა და არ არსებობს, როგორც არ არსებობს «ციმბირელის», «ვოლგელის», «კაზაკის», «კახელის», «იმერელის», «ბურგუნდიელის», «ვესტფალელის», «ტოსკანელისა» და სხვათა ეროვნება.

«აფხაზური» დამწერლობა XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა (მანამდე იგი არ არსებობდა), როდესაც ქართველ სწავლულთა და მწერალთა ჯგუფმა - ქართული დამწერლობის (ანბანის) საფუძველზე აფსუური ენის პირველი სახელმძღვანელო შეადგინა. დაიწყო საღმრთო წერილის თარგმნა და გამოცემა, რაც სამწუხაროდ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზური დამწერლობა, ისევე, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, რუსულ ანბანზე იქნა გადაყვანილი.

ბუნებრივია, «აფხაზებს» თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა არ გააჩნიათ. აფხაზური ლიტერატურის პირველი «კლასიკოსი» საბჭოთა პერიოდში ქმნიდა და ორი ათეული წლის წინ გარდაიცვალა. განათლებას «აფხაზები» მშობლიურ ენაზე მხოლოდ მეოთხე კლასამდე იღებენ. შემდგომ სწავლება რუსულ ენაზე, რსფსრ-ს პროგრამით მიმდინარეობს. რამოდენიმე წლის წინ «აფხაზი ხალხის» დაბეჯითებული მოთხოვნით სოხუმში გაიხსნა უნივერსიტეტი, ამაყად - აფხაზეთის უნივერსიტეტად წოდებული. ხალხი, რომელსაც არა აქვს უნარი შექმნას ეროვნული საშუალო სკოლა, ხსნის უნივერსიტეტს, სადაც აფხაზური მხოლოდ ერთი ფაკულტეტი და ფირნიშია, ხოლო სწავლება და მთელი საქმეთწარმოება - მშობლიურ, რუსულ ენაზე მიმდინარეობს. 84 ათას აფსუას, ავტონომიაში ნახევარმილიონიანი მოსახლეობით, აქვს ეროვნული (რუსულ-აფსუური) ტელევიზია, რადიო, პრესა, მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი და ა.შ. რუსეთის ფედერაციაში შემავალი რომელი ავტონომია, რომლის ყველაზე მცირე ქალაქი დაიტევს მთელს აფსუებს, ფლობს ამდენ პრივილეგიას? და ყოველივე ეს ხდება «ქართველი იმპერიალისტ-შოვინისტების უღელქვეშ» (იხ. აფხაზური წერილი XIX პარტკონფერენციას, 17.06.88.).

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ ითვისებდა მოსკოვი ივანე კალიტას დროიდან დაპყრობილ მიწებს: მთელი ძალით მუშაობდა მათრახისა და თაფლაკვერის მანქანა, ხოლო ლოზუნგი «გათიშე და იბატონე!» - რუსულ პოლიტიკაში დღესაც მოქმედებს. ამ წყალობას არც საქართველოსათვის აუვლია გვერდი. ეს, ბენკენდორფის გამოთქმით «კავკასიის გასაღები» და «აფხაზური კოზირი» გათამაშებულ იქნა ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის დროს, როდესაც უმაღლესი ბრძანებულებით აფხაზად ჩაწერილი არცერთი პირი რეკრუტად არ მიყავდათ. 1897 წლისათვის «აფხაზების» რაოდენობა არმიაში სამსახურზე თავარიდებულ ქართველთა ხარჯზე 60 ათასამდე გაიზარდა, ხოლო 16 წლის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისათვის მან 120

ათასს მიაღწია, რითაც მსოფლიო მასშტაბებისათვის მანამდე გაუგონარი დემოგრაფიული აფეთქება გამოიწვია. ასეთი შედეგები ჰქონდა უცხო კონტინგენტის ხელოვნურად გაბერვას დაუმორჩილებელ საქართველოში, რითაც საფუძველი ჩაეყარა „აფხაზთა" ნაციონალური განსაკუთრებულობის სინდრომს.

1918 წელს საქართველო კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. იგი ცნეს წამყვანმა სახელმწიფოებმა – ერთა ლიგის წევრებმა, ხოლო 1920 წლის 7 მაისს ლენინის მიერ ხელმოწერილ იქნა „ხელშეკრულება დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან".

დღეს, იმ წლების ზოგიერთი საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ მოსკოვის პოლიტიკის ბევრი წვრილმანი გახდა ცნობილი, პირველ რიგში გაირკვა ქართველი ბოლშევიკების სტალინისა და ორჯონიკიძის როლი ამ პოლიტიკის კავკასიაში გატარების დროს. „აფხაზებსა" და ოსებს ევალებოდათ „ქართული ეროვნული მენშევიკური მთავრობის" წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების ორგანიზება, რის საფასურადაც მათ საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიებს (რესპუბლიკებსაც კი) შეპირდნენ. სტალინი ორჯონიკიძესთან ბაქოში გაგზავნილ თავის დაშიფრულ დეპეშებში პირდაპირ მიუთითებს: „გამოაშკარავდეს (წაიკითხეთ „შეიქმნას") საქართველოში დაჩაგრულ ნაციონალურ უმცირესობათა კერები", რომელთა აჯანყებაც „საქართველოს ოკუპაციის" საბაბი გახდებოდა. „ილიჩი ელოდება" – წერს იგი ერთერთი თავისი დეპეშის ბოლოს (იხ. გაზეთი „კომუნისტი", № 134, 1989 წ., ქ.თბილისი).

მუსულმანებს, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, მოსკოვი გადაკვრით – საბჭოთა მუსულმანების ქემალურ თურქეთთან პოლიტიკურ შერწყმას პირდებოდა. (აქვე უნდა აღინიშნოს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების არსებობის ფაქტიც, რომლის დეტალები ჩვენთვის უცნობია). სწორედ ამიტომ იყო, რომ მეთერთმეტე საოკუპაციო არმიამ წინააღმდეგობის გარეშე გაიარა მთელი აზერბაიჯანი, რამდენიმე დღეში დაიპყრო სომხეთი და დანაკარგების გარეშე მოადგა საქართველოს საზღვრებს. სამაგიეროდ აზერბაიჯანმა მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი, სომხეთის მიწები – ყარაბაღი და ნახიჩევანი, ასევე საქართველოს პროვინცია – ჰერეთი (ზაქათალის რაიონი) მიიღო (იხ. კავკასიის გეოგრაფიული რუკა 1817 და 1924 წწ.).

გააფთრებული და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ საქართველოს ეროვნულ არმიასთან, რუსეთის არმიების მიერ ოკუპირებულ საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. სულ ცხრა დღის შემდეგ კი, 4 მარტს, აფხაზეთი იღებს (ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსს! 14 თვის შემდეგ გამოცხადებულ იქნა სამხრეთ-ოსეთის ასსრ-ის შექმნის შესახებ. საჭიროა დაისვას კითხვა: რამდენად სამართლიანია ავტონომიების დარიგება საქართველოს მიწებზე მოსული ხალხებისათვის, რომელთაც თავიანთი ისტორიული ტერიტორია ჩრდილო კავკასიაში აქვთ და მათ მშობლიური ტერიტორიისაგან ორ ნაბიჯზე მყოფი კავკასიონის ქედი საზღვრავს? ამგვარი „გონიერი" და „ინტერნაციონალური" აქტის რეზულტატი იყო ის, რომ ავტონომიამიღებულმა აფხაზებმა და ოსებმა პრინციპიალურად შეწყვიტეს ლაპარაკი იმ ხალხის ენაზე, რომელმაც ისინი შეიფარა. ასეთია საბჭოთა ინტერნაციონალიზმის ჭეშმარიტი სახე.

იმ ფორმალური ნიშნების შეგროვების მიზნით, რომლებიც აუცილებელი იყო ავტონომიური წარმონაქმნის ოფიციალურად გაფორმებისათვის აფხაზეთის პროვინციას მიაკუთვნეს მეზობელი პროვინციის (სამეგრელოს) ტერიტორია და მოსახლეობა (რაც შემდგომ ოქტომბრის გაიმეორეს – ავტონომიის სახელის მინიჭებისათვის). ავტონომიური აფხაზეთის ხელისუფლება ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას აიძულებდა ეროვნება შეეცვალათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ართმევდა მათ – ბინის, ნორმალური სამსახურის და სხვა ეკონომიკური თუ სოციალური პირობების გაუმჯობესების, საშ.სკოლის დამთავრების შესახებ ატესტატის მიღების საშუალებასაც კი. ამგვარი ხერხებით „აფხაზების" რაოდენობას 84 ათასამდე მიაღწევინეს (1979 წლის აღწერა), თუმცაღა მისი მხოლოდ უმცირესი რაოდენობა ფლობს აფსუურ ენას. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი საჩივრები რესპუბლიკისა და კავშირის ყველა ინსტანციებში უპასუხოდ რჩებოდა, რამეთუ შექმნილი მდგომარეობა ყოველმხრივ აწყობდა მოსკოვს.

ათწლეულების მანძილზე ეკრძალებოდათ ქართველ მეცნიერებს აფხაზეთის პროვინციის ისტორიაზე მეცნიერულად არგუმენტირებული პოზიციის შესახებ აზრის გამოთქმა ან გამოქვეყნება. ტაბუ დაედო აკადემიკოსების ნ.ბერძენიშვილისა და პ.ინგოროყვას ნაშრომებს. გამუდმებით იკრძალებოდა და იდევნებოდა პერიოდულ პრესაში ამ თემაზე სტატიების გამოქვეყნების მცდელობები. ამავდროულად ყოველგვარი მხარდაჭერა ჰქონდა აფხაზეთის ისტორიის ცრუმეცნიერულ ვერსიებს, პროპაგანდირებულს, როგორც „შინნაზარდი მეცნიერების", ასევე მოსკოველი და ლენინგრადელი კორუმპირებული ექსპერტების მიერ, რომლებიც „აფხაზეთის" ისტორიას შავისღვისპირა აგარაკებზე წერდნენ. ინტერნაციონალიზმისა და მცირე ერისადმი მოთმინების ნიღბის ქვეშ სისტემატიურად, დიპლომებიდან სადოქტორო დისერტაციებამდე – აფხაზური ინტელექტუალური ნაკლის წახალისება ხდებოდა.

ასეთია აფხაზეთში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა.

დიდმპყრობლური სტალინური პოლიტიკით პროვოცირებული, ცრუ საფუძველზე აშენებული მცირე ერის ნაციონალური ამბიცია, სისხლისღვრამდე მივიდა. დღეს არავინ იცის როგორ დატრიალდება აფხაზური მოვლენები ისტორიულ პერსპექტივაში თვით აფსუებისათვის, რომლებმაც ორ საუკუნეზე მეტი მშვიდობიანად იცხოვრეს ქართულ მიწაზე, იმ მიწაზე, რომელმაც არ იცის მუსულმანების დევნა, არ ახსოვს ებრაელთა რბევა ან შევიწროება და საერთოდ – ძალადობის რომელიმე სხვა ფორმა საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების ინტერესებზე.

ხმა დარხეული „ქართული იმპერიალიზმის" შესახებ, რაც იძულებითი ზომა იყო სოხუმში ქართველი მოსახლეობის დამრბევი „აფხაზი" ექსტრემისტების გასამართლებლად, ახლა თითქმის მთელს მსოფლიოს მოედო. სსრკ საინფორმაციო სააგენტოებიდან საქართველოს მოვლენების შესახებ მომდინარე ცნობები, წინასწარვე ტენდენციურია, ისინი ამახინჯებენ ისტორიულ და თანამედროვე სინამდვილეს იმისათვის, რომ დესტაბილიზაცია შეიტანონ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელი გაუტეხონ მას საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის თვალში და მოაკლონ იგი ცივილიზებული სამყაროს მორალურ მხარდაჭერას.

რედაქციის სამეცნიერო ჯგუფი
სექტემბერი 1989 წ.

---

## როდის და ვინ ამზადებდა საქართველოს ოკუპაციას...

### სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას

გთხოვთ ეს რუკა ჩამოკიდოთ აქაც და მცირე საბჭოს შენობაშიც და დაურიგოთ (დანარჩენი ეგზემპლარები) მ ო ს კ ო ვ ი ს მ უ შ ა.- თ ა კ ლ უ ბ ე ბ ს, წინასწარ ს თ ხ ო - ვ ო თ ნ.პ.გორბუნოვს, ხომ არ შეიძლება ა მ ა ვ ე რუკაზე დ ა მ ა ტ ე ბ ი თ დ ა ი ხ ა ტ ო ს თუნდაც მწვანე ხაზებითა და მ წ ვ ა ნ ე შ ტ რ ი ხ ე ბ ი თ ახლანდელი საზღვრები:

(a) დასავლეთის "ფრონტი" (ფინეთი, ესტლანდია, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი)
(б) ყირიმი
(в) საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი
(г) შუა აზია, ბუხარა
(д) შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა
(е) შორეული აღმოსავლეთის საზღვრები

ეს არის და ეს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 21 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს

--------- ----

*ლაპარაკია "რსფსრ სქემატური ადმინისტრაციული რუკის" შესახებ. ვ.ი.ლენინის დავალება შესრულებულ იქნა 1921 წლის 7 თებერვალს. რუკა 1921 წელს გამოიცა ორი ტირაჟით.

65

### დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემის სერიოზული განხილვის შემდეგ წარმატების გარანტიას მოგვცემს. გაფრთხილებთ, რომ უპუროდ ვზივართ ტრანსპორტის გამო, ამიტომ არც ერთ მატარებელს და არც ერთ ვაგონს არ მოგცემთ. იძულებული ვართ კავკასიიდან ვზიდოთ მხოლოდ პური და ნავთობი. მოვითხოვთ დაუყონებლივ პასუხს პირდაპირი მავთულით მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრის, აგრეთვე სმილგას, გიტისის, ტრიფონოვისა ა ფრუმკინის ხელმოწერით. ყველა ამ პირთა დეპეშებზე ჩვენი პასუხის მიღებამდე გადამწყვეტი არაფერი წამოიწყოთ.

14/II.

დაწერილია 1921 წლის 14 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ.ი.ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52. — იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

--------------

*შემდეგ ვ.ი.ლენინს დაუწერია: „ცეკას დავალებით კრესტინსკი" დეპეშის ქვემო ნაწილში ვ.ი.ლენინს გაუკეთებია მინაწერი, როგორც ჩანს, მდივნის მისამართით: „არა, ჯობს შეინახოთ უაღრესად საიდუმლოდ 2-3 თვით". რედ.

66

### დეშეპა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ცეკას მიაჩნია, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის* აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას, რომელიც იმასაც კი არ მოერიდება, რომ თბილისი აიღოს, თუ ეს საჭირო იქნა სამხედრო მოსაზრებებით ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის ახალი თავდასხმისაგან. იმედი გვაქვს, რომ თქვენ მთელი სერიოზულობით გაითვალისწინეთ ჩვენი** გაფრთხილებანი. შეგვატყობინეთ ამბავი ყოველდღე.

დაწერილია 1921 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ.ი.ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52 — იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

--------------

*ე.ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის (რედ. შენიშვნა)

**შემდეგ ვ.ი.ლენინს დაუწერია: „ცეკას დავალებით კრესტინსკი". რედ.

მართლაც და ის დროა, როცა დუმილი დანაშაულია, ყოყმანი ბოროტება.

ცარიზმის მიერ ორგანიზებული დენაციონალიზაციის პროცესები საქართველოში ისეთ მეტასტაზად მოედო ქართულ სხეულს, რომ "დიდი ოქტომბრის" ვერ მოისალბუნა ერის წყლულებს და პირში ჩვარჩაჩრილი ჩვენი ხალხი ერთ "ძმურ" ოჯახში სულ ტაშისცემით შერეკეს. თანაც თადარიგით და შორს გამიზნული მზაკვრული ადმინისტრაციული დაყოფით. ისე, რომ ისეთმა პიროვნებამაც კი, როგორც ანდრეი სახაროვია ვერ ამოიკითხა 20-იან წლებში "დიდი სტალინის", "რკინის კომისრის" და ძმათა მათთა მიერ რომანოვების პოლიტიკის მოდერნისტული ადაპტაცია. შედეგად ერთიანი განუყოფელი საქართველოს კონცეფციის გენოციდი და ხელფეხშეკრული, ჩვენი ერი მამულჩამოჭრილი დაჩხილი და საწამლავშეფრქვეული ალალმართალი ერი - "მცირე იმპერიის" პატრონად მოგვენათლა.

ამ პროცესს ეროვნული სულის რღვევისას პირველ რიგში ემსხვერპლა ერთიანი საქართველოს სისხლხორცეული ნაწილი აფხაზეთი, შედეგად 1870 და 1916 წლების აფხაზთა დეპუტაციების, გიორგი შარვაშიძის, ქართველთათვის წმინდა სახელების თარაშ ემხვარის, პაკი აძბას, თამარ შერვაშიძის მოღვარენი და შთამომავლები მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს და დღეისათვის აშკარად ველიკოშოვინისტური და სეპარატისტული სულისკვეთების საბუდარია, თანაც მოხერხებული და პროვოკაციული. ეს მზაკვრული აქცია, რომლის ქვეტექსტები ჯერ კიდევ მთლიანად ამოკითხული არაა აქვეა კერა ქართულ სულში "აშორდიზმის" განსხეულებისა და კოლხი კაცისათვის მამის საფლავის მაგინებელი ისაკი ჟვანიას სეპარატისტული იდეების გაძლიერებულ კვიბაზე გადაყვანისა.

ამავე იდეებით მღვრიე თვალები ჩვენი ქართველობის საიმედო ბურჯის სვანეთის წმინდათაწმინდა კოშკებსაც დაჟინებით ზვერავენ.

ეს პროცესი ანტიქართულია.

თავისთავად უნდა მომწიფდეს კითხვა - ჰყოფნის კი პრინციპულობა, ობიექტურობა, როგორ ძალით და კომპეტენტურობა აფხაზეთის პარტიულ, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოებს გაერკვნენ მიმდინარე პროცესებში, რაც მთავარია გააჩნიათ სურვილი წინ აღუდგნენ აშკარად გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეულ საშიშ და ბინძურ თამაშს.

თუ გავეცნობით აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციებისა და იდეოლოგიის სამსახურის ხელწერას, განსაკუთრებით აფხაზეთის ტელევიზიის მუშაობას, შემოქმედებითი კავშირებისა და ეგრეთწოდებული სახალხო ფორუმის "აიდგილარას" ქმედებას, ასეთი სურვილის პროგნოზირება უიმედო საქმეა: სწორედ ამიტომ უნდა მიეცეს აღნიშნულს პოლიტიკური და ზნეობრივი შეფასება.

სანამ ეს არ მოხდება აფხაზობა სოციალური პრივილეგიაა, ამდენად "შაღმანობის" მკვებავი წყარო, და სიტყვის ძალიან ზუსტი გაგებით - საქართველო იყიდება. ვუხმოთ მაგალითებს.

პარტიის სოხუმის რაიკომის შემადგენლობაში თავისი წარმომადგენელი რაიონის 2400 მეტ კომუნისტს ჰყავს, მათგან 1200-ზე მეტი ქართველია, აფხაზი 100-მდე. დანარჩენი სხვა ეროვნებისაა, რაიკომის შემადგენლობაში კი თითქმის თანაბარი რაოდენობით არიან ქართველები და აფხაზები. სამართლიანობის ასეთი პრინციპის შემდეგ ნუ გაგვიკვირდება, რომ რაიონში საქართველოს მსხვილი საწარმოებისათვის და ქართული მოსახლეობისათვის სხვადასხვა მიზნით მიწების გამოყოფას ვეტო აქვს დადებული, სამაგიეროდ მოდიან და მოდიან მოსკოვიდან, ჩელიაბინსკიდან და ა.შ.

მაღალმთიან სოფელ ფსხუში მოსკოვის კურჩატოვის სახ.ინსტიტუტის საბრძანებელია, ხოლო სოფელ შრომაში შეიქმნა ჩერკასის (უკრ.სსრ) მანქანათმშენებლობის ქარხნის ფილიალი, "როტორი" - რომელიც ეკოლოგიურად საშიში კერაა. მიუხედავად ამისა, იგი განუსაზღვრელად ფართოვდება მიმდინარე წლის 6 ივნისის V 13/34 დადგენილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში, კოლმეურნეობა "გამარჯვების" სავარგულებიდან 10 ჰექტარი მიწა უნდა გადაეცეთ.

სოფელ გუმისთაში კოლმეურნეობის გამგეობამ თავ-რე ნ.ტრაპიზონიანი, მარტო 1988 წელს უკანონოდ გამოუყო სამოსახლო 12 ოჯახს, არაქართველებს, ხოლო 1989 წლის 6 თვეში ამავე პრინციპით 10 ოჯახს, ეს მაშინ, როცა ამ სოფელში 35 წლის წინ დასახლებულ ლეილა კოდუას სამოსახლო დღემდე გაუფორმებელია.

იაშთხვაში სადაც კოლმეურნეობის თავ-რე "ჩვენებური" კარგი ქართველია" (თ.შომახია) მარტო კოლმეურნეთა ერთ საერთო კრებაზე 1988 წლის 18 მაისს, სამოსახლო გამოყოფილია 10 ოჯახისათვის 1,5 ჰექტარი. მათგან ქართველი არცერთი არაა. იქნებ არ არიან უსახლკარონი ახლომახლო?! იქვე კოლმეურნეობის გამგეობიდან არც თუ ისე შორს თუნუქის ვაგონში ბორბლებზე ცხოვრობს სამი საცოლე ვაჟკაცის დედა ქვრივი ნ.ადეიშვილი, ამავე სოფელში ითხოვს დასახლებას სოხუმის რაიონის ხეიბარია სახლის ყოფილი ბინადარი გ.მინაძე, რომელმაც შექმნა ოჯახი და ჰყავს სამი შვილი, მას არავინ კონკრეტულად არაფერს ჰპირდება.

აქვე ოდიშში ფორსირებული ტემპით შენდება სახლები მუშახელისათვის, რომლებიც ტრადიციულად ალბათ მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოვლენ, ასეთი ტენდენცია ბოლო წლებში აქ არის.

ასეთი ინტერნაციონალიზმის შედეგად რაიონში უკიდურესად ჭიანურდება სკოლების, საბავშვო ბაღების მშენებლობა, რაიონში არ არის რაიონული საავადმყოფოც კი, სამაგიეროდ ფორსირებული ტემპით შენდება საეჭვო ობიექტები. ასე მაგალითად უკაცრიელ მანიის მთისკენ მოასფალტებული გზა ვიღაცას დასჭირდა და სასწრაფოდ გაიყვანეს; ხოლო ბევრ ქართულ სოფელს მოხრეშილი გზა ენატრება, ასე "რაციონალურად" ნაწილდება რაიონის ბიუჯეტი.

აღნიშნული იმიტომ ჩამოვთვალე, რომ ერთად გავარკვიოთ რა იწვევს წერეთლების, ჭავჭავაძეების, ბუაძეების, კვარაცხელიების, გვარამიების, ერმოლოვების, შაპკოვსკების გააფხაზებას. მშობლიურისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების მკვებავი წყაროს თავზე ცხრათავიანი ურჩხული ზის.

სერგო საჯაია
სოხუმის რაიონი.ახალშენის საშუალო სკოლის დირექტორი

რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე 1989 წლის 6 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვა

უნდა მოგვარდეს დღესვე, აქედანვე ის საკითხები, რომლებიც ჩვენი აზრით ჩვენთვის სასიცოცხლოა, ამიტომ აფხაზეთის პრობლემა ამ ყრილობაზე საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, პირველ რიგში კი ამისათვის უნდა შეიქმნას ყრილობის მუშა კომისია. ამავე დროს გვინდა ავღნიშნოთ რიგი პრობლემებისა, რომელთა გადადება არ ითმენს. 1. აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს მიეცეს პოლიტიკური და ზნეობრივი შეფასება, რისთვისაც შეიქმნას სამთავრობო კომისია.

2. შეიქმნას კომპეტენტური კომისია აფხაზეთში დენაციონალიზაციის პროცესების მიზეზთა შესასწავლად და გატარდეს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ღონისძიებები მათი აღმოფხვრისათვის.

3. შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის რა ვითარებაში ხდებოდა ქართველთა გააფხაზება და შეფასდეს ეს ქმედება ზნეობრივ-შეუსაბამობად, მოქალაქეებს აღუდგინონ ეროვნება, რამეთუ ეროვნება არ აირჩევა. დაზუსტდეს იურისდიქციით, რომ ეს არ არის მოქალაქის პირადი საქმე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნეს შესაბამისი მუხლი (მაგალითად ერთი ძმა აფხაზია, მეორე ქართველი, პროფ.კუპრავა ქართველია, შვილი-)

4. შესწავლილ იქნას აღწერის მასალები და პროცესები 20-იანი წლებიდან დღემდე, განსაკუთრებით 1921-31 წლებში ქართველთა მდგომარეობა აფხაზეთში.

5. აფხაზეთის ადიღეური მოდგმის მოსახლეობას ქართულად და რუსულად დაუდგინონ სწორი თვითსახელწოდება "აფსუა", როგორც თვითონ მიმართავენ საკუთარ თავს.

6. აღდგეს ისტორიული ტოპონიმიკა მაცხუმი, ანაკოფია და ა.შ.

7. დაუყონებლივ მოგვარდეს საკადრო პოლიტიკა, დაგმობილ იქნეს კადრების შერჩევის დღემდე მოქმედი პრინციპი აფხაზეთში.

8. აფსუებთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინაპირობად მიჩნეულ იქნეს შემდეგი: უნდობლობა აფხაზეთის პარტიულ, საბჭოთა-სახელმწიფო ორგანოებისადმი. ავტონომიური რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების-განსაკუთრებით "აფსნი" "ყაფშის", "სავეტსკაია აფხაზია" - ს."ბზიფის", აფხაზეთის ტელევიზიის, მწერალთა კავშირისა და ეგრეთწოდებული სახალხო ფორუმის "აიდგილარას" კანონგარეშედ გამოცხადება, როგორც ერთა შორის შურისჩამომგდები და სისხლისმღვრელი ინსპირატორებისა, ამდენად გადაეცეს პასუხისგებაში, ასევე აღიძრას, სისხლის სამართლის საქმე "აფხაზური წერილის" ლიხნის დეკლარაციისა და "აიდგილარას" საგანგებო გაზეთის რედკოლეგიის მიმართ, როგორც ქართველებზე ცილისწამების ორგანიზატორებისა.

9. შეიქმნას სსრკ სახალხო დეპუტატთა კომისია ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის ე.წ. "დაჩაგრულ აფხაზთა" პრივილეგიებს, შეადარებს ამ მხრივ მდგომარეობას სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებთან და მისცემს სათანადო ზნეობრივ და სამართლებრივ შეფასებებს - "დაჩაგრული" აფხაზების მოთხოვნათა სამართლიანობას.

10. დაზუსტდეს: აფხაზეთში მიმდინარეობს არა ერთაშორისი შუღლი, არამედ აფხაზური პრობლემის შექმნით გაჩნდა პრივილეგირებული სოციალური ფენა, ქართული ეროვნული მოძრაობის დასამუხრუჭებლად.

11. გადაისინჯოს საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპი.

12. შესწავლილი იქნეს აფხაზეთში რეპრესირებულთა სიები, ეროვნების მიხედვით და გამოქვეყნდეს.

13. აფხაზეთი გახდეს ქართულ-აფხაზური კულტურისა და განათლების კერა, რისთვისაც:

ა) ფართოდ გაიშალოს ეროვნული სკოლის კონცეფციაზე მუშაობა. სკოლა გახდეს - ქართულენოვანი. ქართული კონცეფციის აფხაზური კი - აფხაზენოვანი ნაცვლად რუსულენოვანისა.

ბ) შესწავლილ იქნეს აფხაზური ანბანის რუსულ გრაფიკაზე გადაყვანის მოტივები.

გ) ჯავახიშვილის სახ.უნივერსიტეტის ფილიალს ქ.სოხუმში განემტკიცოს შესაბამისი სტატუსი.

დ) დ.გულიას სახ.სმკვლევ ინსტიტუტში შეიქმნას ქართული განყოფილება.

ე) აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნას აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლების, ყოფისა და ეთნოგრაფიის შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭო.

ვ) აღსდგეს ჯერ კიდევ 30-იან წლებში შექმნილი ქართული ეთნოგრაფიული ანსამბლი, მიეცეს ქართული სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი, შეიქმნას ქართული საესტრადო ანსამბლი და კაპელა.

ზ) შეიქმნას პირობები ქართული ეთნიკური ჯგუფის ლაზების, რომლებსაც აფხაზეთში ან თურქებად, ან კიდევ აფხაზებად აღწერენ, ერთიანი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

14. ჩამოერთვას საქართველოს სსრ საპატიო წოდებანი "აიდგილარას" წევრებს, "აფხაზური წერილისა" და "ლიხნის დეკლარაციის" ავტორებს, მათ შორის რუსთაველის სახელობის პრემია ბაგრატ შინკუბას და მუშნი ლასურიას, რადგან ქართველთა ღირსების ცინიკური ხელყოფაა რუსთაველის პრემიების ასე ჰაიჰარად დარიგება.

პატივცემულო საზოგადოებავ, აფხაზეთში ქართველობა აღმშენებელი და პატრონია მოქვისა და ლიხნის ტაძრების ქართველ მეფეთა ბედის საძვალის, ბესლეთის ხიდის, წმინდანთა საფლავების, ჩვენ აფხაზეთში დღეს ჭირისუფლები ვართ არა მარტო 15-16 ივლისის და მომდევნო დღეებში მომხდარი ამბების დროს დაღუპული ქართველების, არამედ ისიც ჩვენი სასჯელია, შვილი - შვილია, სანთელს იმ დაღუპულ ცოდვილ 6 აფსუასაც ავუნთებთ.

ვინც ჩვენს წინაპართა ანდერძსა და უფლებებს აფხაზეთში საეჭვოდ ხდის ის არ არის აფხაზი, ის არ არის თარაშ ემხვარისა და პაკი აძბას, უჯუშ ემხასა და თამარ შერვაშიძის შთამომავალი, არ არსებობს ძალა ამ სახელებს რომ დაუპირისპიროს ქართველი ერი, მაგრამ ასევე არ არსებობს ძალა, რომელიც გოგუას, მარხოლიას, ჯენიას, გურულიას და სხვა უძლებ და უმადურ ძმათა მისთა სულისკვეთებასთან შეგვარიგებს, მათთან ლაპარაკი დამთავრდა.

აფხაზეთი იყო, არის და იქნება ერთიანი, მძლავრი, თავისუფალი, ქართული სხეულის ჯანსაღი ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



SUOMEN HELSINKI · RYHMÄ
HELSINGFORS · GRUPPEN I FINLAND
THE HELSINKI GROUP OF FINLAND SHR

Yhteistyöjäsen Kansainvälisen ihmisoikeusjärjestön (ISHR) kanssa
Associated with the International Society for Human Rights

HELSINKI 24 / 7, 1989

Mr. M.S. Gorbachev
President of the USSR
Moscow, Kreml

Your Excellency

The Helsinki Group of Finland has with grave concern followed the recent development of the national and human rights movements in the USSR. The Helsinki Final Act of 1975 and subsequent agreements, the latest one in Vienna, give guarantees to individuals and peoples against violenes by the regimes towards people expressing their political or religious opinions, beliefs and preferences nonviolently.

The culprits of the massacre in Tbilisi, Georgia, of innocent demonstrators in April 9, 1989, have not been brought to face the justice because of their crimes. The Ukrainian Catholic Church suffers continually of religious persecution. We are giving full credit to you, Mr. President, and to your administration for your powerful struggle towards the rule of law in the USSR, but we see dark forces of Communist conservatism and of Russian chauvinism, against which already Lenin uttered his warning, in work trying to topple your reforms with their sabotage.

The so-called internationalist movements in the Baltic republics of Estonia, Latvia and Lithuania use provocative methods against the majority of the populations, ethnic Estonians and Balts, and in various Asian republics ethnic groups have been incited into violence against each other by officials showing the way to murderous mobs. Most recently, according to the informations we have gathered from our sister organization in Georgia, the ethnic Abchasians are being used as marionettes in a stratagem directed against the aspirations of the overwhelming majority of the Georgian people.

Following the plea of the Helsinki Group of Georgia, we appeal to you, Mr. President, that you bring to justice the instigators of the massacre in Tbilisi and of the fightings in Abchasia. If things like the tragedies in Sumgait, Nagorno-Karabakh, Ferghana, Tbilisi and Abchasia are continuing in the USSR, it means that the trustworthiness of your government as a guarantor of the Helsinki and Vienna Agreements will be seriously affected, to the detriment of the peoples in the USSR and the peaceful development of the world in general.

With the utmost respect

THE HELSINKI GROUP OF FINLAND

Heimo Rantala, Chairman

Address: c/o Rantala
Kauppiasenkatu 6, SF-00160 HELSINKI
Tel. 90-662583 · Fax. 358-0-682564

Bank Account:
KOP 101880-81836

ბ-ნ გორბაჩოვს
საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს
მოსკოვი, კრემლი

თქვენო უკეთილშობილებავ

ფინეთის ჰელსინკის ჯგუფი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ნაციონალურ და ადამიანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ მოძრაობათა განვითარებას ამ ბოლო ხანებში. ჰელსინკის 1975 წლის აქტი და მომდევნო შეთანხმებები, რომელთაგან ბოლო, ვენის, პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლების, მათი პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების გამო რეპრესიებისაგან დაცვის გარანტიას იძლევა.

1989 წ. 9 აპრილს თბილისში უდანაშაულო დემონსტრანტთა ხოცვა-ჟლეტის მომწყობი დამნაშავენი დღემდე არ წარმდგარან მართლმსაჯულების წინაშე. უკრაინის კათოლიკური ეკლესია გამუდმებით განიცდის რელიგიურ დევნას. ჩვენ გვწამს თქვენი, ბატონო პრეზიდენტო და თქვენი ადმინისტრაციისა, საბჭოთა კავშირში კანონის ძალის წესრიგის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ბნელი ძალები კომუნისტური კონსერვატიზმისა და რუსული შოვინიზმისა რომელთა შესახებ ლენინიც გვაფრთხილებდა, ცდილობენ საბოტაჟის გზით შეუშალონ ხელი თქვენს რეფორმებს.

ეგრეთწოდებული ინტერნაციონალური მოძრაობა ბალტიისპირა რესპუბლიკებში – ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში ატარებს პროვოკაციულ, წამქეზებლურ მეთოდებს, რასაც იყენებს მოსახლეობის უმრავლესობის, ეთნიკური ესტონელების, ბალტების წინააღმდეგ; აზიის სხვადასხვა რესპუბლიკაში თანამდებობის პირნი ერთმანეთს უპირისპირებენ ეთნიკურ დაჯგუფებებს, რაც ფართო გზას უხსნის ბოროტმოქმედთა ბანდებს. ახლახანს, როგორც ირკვევა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფისგან მიღებული ინფორმაციიდან, მარიონეტებად გამოყენებულნი არიან აფხაზები, რომლებიც ქართულ უმრავლესობას დაუპირისპირეს.

საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის მოთხოვნით მოგმართავთ თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, რათა მართლმსაჯულების წინაშე წარადგინოთ როგორც 9 აპრილს თბილისში, ისე აფხაზეთში ხოცვა-ჟლეტის მომწყობი დამნაშავენი, თუ საბჭოთა კავშირში გაგრძელდება სუმგაითის, მთიანი ყარაბაღის, ფერღანის, თბილისისა და აფხაზეთის მსგავსი მოვლენები, როგორც სსრკ-ს ხალხთა, ისე მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხის თვალში სერიოზულად შეილახება ნდობა თქვენი მთავრობის მიმართ, რომელიც ჰელსინკისა და ვენის ხელშეკრულებების ერთგვარი თავმდებია.

პატივისცემით
ფინეთის ჰელსინკის ჯგუფი

---

ბატონებო და ქალბატონებო!

ნება მომეცით საქართველოს ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაციის სახელით მადლობა მოვახსენო „პარიზი-89"-ს გენერალურ მდივანს ბატონ ქრისტიან კუტინს და ქრისტიან-დემოკრატთა მდივანს ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე ჩემი მოპატიჟებისათვის. ასევე მინდა მადლობა მოვახსენო ბატონ იური რინგმანს ფინეთის ქრისტიანთა კავშირიდან, რომლის რეკომენდაციითაც მოხდა ჩემი მოპატიჟება.

მე 27 წლის ვარ, საზღვარგარეთ არასოდეს ვყოფილვარ, ძალიან კი მინდოდა, მაგრამ ხელისუფლება მიშლიდა ხელს ამაში. მე დღეს ალბათ, ადამიანის უფლებათა პირველი დეკლარაციის შესახებ უნდა ვილაპარაკო. მაგრამ მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოგახსენოთ ზოგიერთი რამ ჩემი სამშობლოს შესახებ.

სანამ საქართველოს დღევანდელ სიტუაციას განვიხილავდე, ნება მომეცით გავაკეთო საქართველოს გრძელი ისტორიის მოკლე მიმოხილვა. ქრისტიანობა საქართველომ მეოთხე საუკუნეში მიიღო. ქართული ალფაბეტი მსოფლიოში ცნობილი თოთხმეტიდან-ერთ-ერთია. საუკუნეთა განმავლობაში საქართველო განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა მუსლიმანურ დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავად თითქმის მუდმივი ომებისა, ჩვენ არათუ შევინარჩუნეთ ქრისტიანული რწმენა და ეროვნული თვითმყოფადობა, არამედ მშვიდობიან შუალედებში ხელოვნებისა და კულტურის უნიკალურ ნიმუშებს ვქმნიდით. თუმცა მთლიანად საქართველო არასოდეს ყოფილა სხვა ქვეყნის ქვეშევრდომი, მე-17 საუკუნის ბოლოს ომებით დასუსტებულმა და ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე მდგომმა საქართველომ რუსეთს სთხოვა დახმარება, რადგან იგი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო მის გარემოცვაში. დახმარების ნაცვლად ჩვენ ანექსია მივიღეთ, რაც 1918 წლამდე გაგრძელდა. 1918 წ. რუსეთში რევოლუციის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო ცნო 12 ქვეყანამ – წითელი რუსეთის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების ჩათვლით.

1920 წ. წითელმა რუსეთმა ჩვენთან თავდაუსხმელობის პაქტს მოაწერა ხელი. თან გვარწმუნებდა, რომ არასოდეს ექნებოდა საქართველოზე პრეტენზია. მაგრამ 1921 წ. წითელმა რუსეთმა ეს შეთანხმება დაარღვია, წითელი არმია საქართველოში შევიდა და დაიპყრო იგი. ასე იქნა ძალით შეცვლილი თავისუფალი საქართველოს მრავალპარტიული პარლამენტური სისტემა ტოტალიტარული რეჟიმით. აქ მინდა გაგახსენოთ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის სიტყვები წარმოთქმული 1919 წ. ვერსალის კონფერენციაზე: „მე ვიღებ ჰენრი ვილსონის რჩევას და ვასკვნი, რომ არ არის აუცილებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ჯარით დახმარება. მათ ბრძოლაში ბოლშევიკების წინააღმდეგ" ეს სიტყვები ტიპიურია ამ საკითხისადმი ევროპული დამოკიდებულებისათვის. ამგვარად, ჩვენი დამოუკიდებლობა ხანმოკლე იყო, იგი მხოლოდ სამ წელიწადს გაგრძელდა.

საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო ეგზეკუციების ერა და მათი გადასახლება, ვინც ბოლშევიკურ „იდეალებს" არ იზიარებდა. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი საუკეთესო ინტელექტუალები, არისტოკრატია, სამხედრო პირები. ქართველები მიჩნეულ იქნენ ბოლშევიზმისადმი ნაკლებად მიმხრობილ ერად და გადაწყდა მათი ფიზიკური განადგურება. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა დიდ ხანს გაგრძელებულიყო და 1924 წ. მოხდა აჯანყება საბჭოების ძალაუფლების წინააღმდეგ. 60.000 ქართველის სიცოცხლე შეეწირა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. მაშინ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა აშშ-ს კონგრესმა „De Facto".

რეპრესიები გრძელდებოდა 20-იან და 30-იან წლებში...

როდესაც საქართველოს უახლოეს წარსულზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ 1956 წ. სწორედ მაშინ მოხდა ქართველ სტუდენტთა და მოსწავლეთა უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტა, ეს ნაკლებადაა ცნობილი დასავლეთში და მე მინდა შევავსო ეს ნაკლებ ცნობილი იარვეზი. ყველასათვის ცნობილია, რომ სტალინი ქართველთა დაუძინებელი მტერი იყო იქამდე, რომ მას მხოლოდ ქართული ღვინო, ქართული პური და ქართული ხალხური ცეკვები შერჩა საკუთარი სამშობლოდან. მაგრამ სტალინის სიკვდილის და განსაკუთრებით ბერიას დაცემის შემდეგ საქართველოს გარეთ მცხოვრებმა ხალხმა ამა თუ იმ მიზეზის გამო დაასკვნა, რომ საქართველოში არც კოლმეურნეობები ყოფილა, არც რეპრესიები და რომ მოვიდა დრო, რათა ქართველები დაისაჯონ ამ პრივილეგიებისათვის. ერთხელ საბჭოთა კავშირს მართავდა ქართველი ამის შედეგად ქართველებმა მიიღეს უპირატესობა, რომლის ღირსნი ისინი არ არიან და ეს უნდა შეიცვალოს. ეგრეთწოდებული „პიროვნების კულტის" წინააღმდეგ მიმართული კამპანია აღვიძებდა მასების შოვინისტურ ინსტიქტებს და იწვევდა ანტიქართულ გამოხდომებს. მეორეს მხრივ, ქართველობა (რუსებისაგან განსხვავებით) ნათლად ხედავდა, რომ სტალინის კრიტიკა არ ნიშნავდა მის მიერ შექმნილი რეჟიმის კრიტიკას. საქართველოში ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ სტალინს ამცირებდნენ მისი ეროვნების გამო და რომ არავინ აპირებდა სტალინიზმის რეჟიმის საფუძვლების შერყევას. მას დიქტატორი მკვლელი, სისხლისმსმელი (ან სხვა კანიბალი) კი არ შეარქვეს, არამედ მას განიხილავენ, როგორც უნიჭო, არაკვალიფიციური პიროვნებას, რომელმაც უზურპირება გაუკეთა ხელისუფლებას. ამავე დროს ლენინს გამუდმებით ადიდებდნენ. ლენინი რომელიც, ქართველთა აზრით, სულაც არ ჯობინდა ჰუმანიზმში თავის მოსწავლეს, ამგვარად, პრესაში და ყოველდღიური ცხოვრებაში სტალინის კრიტიკას აქვს არაოფიციალური, არაგაცხადებული მხარე: ამ კამპანიაში კონცენტრირებულია მრავალი წლის დაგროვილი სიძულვილი ჩვენდამი, რომელიც არ შეიძლებოდა ოფიციალურად გამოცხადებულიყო (მოქმედი იდეოლოგიის სისტემაში), მაგრამ რომელსაც ყველა მკვეთრად გრძნობს და რომელიც უფრო და უფრო ჩანს არაოფიციალობაში.

ამ ანტიქართულმა პოლიტიკამ და არა ეგრეთწოდებულმა „დესტალინიზაციამ" გამოიწვია საპროტესტო დემონსტრაცია 1956 წლის მარტის მეორე კვირაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თბილისში 9 მარტს, ღამის პირველ საათზე 700 კაცი იქნა მოკლული და გადაყრილი მდინარეში რუსი ჯარისკაცების მიერ. ამის შედეგად არ დაცემულა არც ხრუშჩოვის, არც მთლიანად საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მსოფლიოს ორგანიზაციათა თვალში. დღემდე ჩვენ არ გაგვიგია, რაიმე გამოხმაურება ამ ამბებთან დაკავშირებით.

ბოლო ორ წელიწადში აღინიშნება ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება. ჩვენ ვხედავთ, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერის სული ისევე ძლიერია, როგორც ადრე. რეპრესიების მიუხედავად ჩვენ არა ვართ ისე დამორჩილებულნი, როგორც ზოგიერთი სხვა. ერი იმპერიაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც 1950-იან წლებში დაიწყო, ფართოვდება განსაკუთრებით 1989 წ. 9 აპრილის მშვიდობიანი მიტინგის რუსი ჯარისკაცების მიერ დარბევის შემდეგ.

მის შესაჩერებლად კრემლმა ინსპირირება გაუკეთა ბრძოლას აფხაზეთში, - როგორს? გამოიყენა რა აფხაზი ტერორისტები ბრმა იარაღად ჩვენს წინააღმდეგ. მათი მიზანია ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეთნიკურ ერთეულებს შორის კონფლიქტის ორმოში ჩააგდონ და გაავრცელონ მცდარი აზრი მსოფლიოში, თითქოს ქართველები აგრესორები და იმპერიალისტები არიან და სამწუხაროდ, მათ წარმატებას მიაღწიეს ამ საქმეში. მე ამ საკითხში ერთ რამეს დავაკვირდი: აფხაზები თურქული წარმოების თოფებითა და „კალაშნიკოვებით" არიან შეიარაღებულნი.

საქართველო სტუმართმოყვარე ქვეყანაა. ამიტომაა, რომ აქ მრავალი ერის წარმომადგენელი ცხოვრობს, რომლებსაც აქამდე არ გამოუცხადებიათ პრეტენზი ქართულ მიწაზე. სტალინმა, როდესაც მან ძალაუფლება აიღო ხელში, განახორციელა ძველისძველი პრინციპი „გათიშე და იბატონე" (divide et impera ) და 1922 წ. საქართველო ეგრეთწოდებულ ავტონომიურ რესპუბლიკებად დაჰყო. აი, რატომ არის, რომ ტერიტორიაზე, რომელიც ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდა, გაჩნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და მას მიეცა იმ ხალხის სახელი, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომი იყო (დიახ, ისინი იყვნენ მაგრამ აღარ არიან), რადგანაც მათი შტო საუკუნეთა განმავლობაში ამოწყდა და ეხლა მათი სახელი „აფხაზები" მიითვისეს ველურმა, უკულტურო, მუსლიმანურმა მთის ტომებმა, რომელთა ნამდვილი სახელია „აფსუა" და რომლებმაც ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში მიგრაცია მე-17 საუკუნეში დაიწყეს. ეგრეთწოდებული „აფხაზური პრობლემა" იგივეა, რაც პალესტინის პრობლემა ისრაელისათვის. იგივე ხდება ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიულად ცნობილია როგორც „სამაჩაბლო", ქართველ თავადთა გვარის მიხედვით, სადაც ოსების ძალიან მცირე რაოდენობა ცხოვრობდა. ასევეა ეგრეთწოდებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც ძირითადი მოსახლეობა ქართველია, თუმცა ნაწილი მუსლიმანური რელიგიისა.

ჩვენთვის ძალიან ძნელია ადამიანის უფლებებზე ლაპარაკი, განსაკუთრებით 1989 წლის 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. იქ, სადაც 100-მდე ადამიანი დაიჭრება მესანგრის ნიჩბით და ათასობით ადამიანი მოიწამლება ქიმიური იარაღით ადამიანთა უფლებებისათვის ადგილი აღარ რჩება, როდესაც ანთებული სანთლებით ხელში და ხალხური სიმღერების მომღერალ ადამიანებს არმია დაესხმება თავს და დახოცავს მხოლოდ დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლოზუნგის გამო, ეჭვი არ არის, ადამიანთა უფლებებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ის წარმოუდგენელი სისასტიკე, როგორითაც ხალხი გაჟლიტეს, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ზემოთ აღწერილი სიძულვილით ქართველების მიმართ. გრძნობს რა ჩვენს პოტენციას და ჩვენს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, კრემლი სასტიკად გვსჯის ჩვენ და ამ პირობებში ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩემთვის მოეცათ თქვენი ნახვის უფლება.

ბოლოს მინდა თქვენ იცოდეთ (გაცნობოთ), რომ ქართველები, რომლებსაც თქვენ დასავლეთში ხვდებით ტურისტებად ან დელეგაციის შემადგენლობაში მყოფთ, არ არიან ქართველთა საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი ძირითადად ან პარტიის „აპარატის მუშაკები" არიან, ან მათი ახლო ნათესავები. ვისაც ქართველების გაცნობა სურს, მან უნდა ინახულოს საქართველო. საქართველო გელით.

გფარავდეთ ღმერთი.

პატივისცემით
არჩილ ხანთაძე
1989 წ. აგვისტო

## ბელორუსია – რა უნდა "გადარაიქმნას" – კოლონია თუ კოლონიზატორი?!

ერთი წლის წინ დაიწყო ბელორუსიაში სახალხო მოძრაობა. შეიქმნა ბელორუსიის სახალხო ფრონტის (ბსფ) საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ რესპუბლიკის შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის გამოჩენილი მოღვაწენი. სახალხო ფრონტის მხარდამჭერი ჯგუფები ჩამოყალიბდა რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში.

1989 წლის 23 მაისს ბსფ-ს საორგანიზაციო კომიტეტმა მიმართა მინსკის ქალაქის საბჭოს მინსკში ბსფ-ს დამფუძნებელი ყრილობის ჩატარების ნებართვის შესახებ, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ ორგკომიტეტმა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა, რომლისგანაც მან მხარდაჭერა კვლავ ვერ მიიღო.

ბოლოს ბელორუსიის სახალხი ფრონტის "ადრაჯენიის" (აღორძინება) დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა ლიტველთა სტუმართმოყვარეობით ისარგებლეს და 24-25 ივნისს ყრილობა ვილნიუსში ჩატარდა.

### განცხადება დასავლეთის ჟურნალისტებისათვის

საკითხი შეეხება ვითარებას ბელორუსიაში, რესპუბლიკას რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია.

30-50-იან წლებში ბელორუსიამ სტალინის გენოციდის საშინელება და ეროვნული კულტურის განადგურება განიცადა. სტალინიზმის წლების რეპრესიებმა 2 მილ-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, თითქმის ყოველი მეოთხე. განადგურებული იქნა თითქმის მთელი ინტელიგენცია. სტალინური გენოციდის სიმბოლოდ იქცა ბელორუსიაში მინსკის ახლოს – კუროპატებში ხალხის მასობრივი დახვრეტის ადგილის პოვნა.

1937-დან 41 წლამდე იქ დახვრეტილი და ჩამარხული იქნა საშუალოდ 250 ათასი ადამიანი. მინსკის გარშემო ნაპოვნია სტალინური მკვლელობების ექვსი ასეთივე ადგილი. აღმოჩნდა, რომ ანალოგიური სასაკლაოები არსებობდა ყოველი მსხვილი ბელორუსული ქალაქის ახლომახლო. თუ 1920 წელს ბელორუსიის მოსახლეობა 12 მილ. იყო, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ის 9 მილ. 200 000 ათასს შეადგენდა. უდიდესი დანაკლისი მოუტანა ბელორუს ხალხს მეორე მსოფლიო ომმა.

40 იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული, განადგურებული ეროვნული ინტელიგენციის, პარტიული და სახელმწიფო აპარატის თანამდებობრივ ადგილზე სისტემატიურად აგზავნიდნენ კადრებს რსფსრ-ს შიდა ოლქებიდან. ასეთი იყო დენაციონალიზაციის და ბელორუსიის რუსიფიკაციის სტალინური პოლიტიკა. იხურებოდა ბელორუსული სკოლები, სახელმწიფო ხმარებიდან იდევნებოდა ნაციონალური ენა, ინგრეოდა კულტურის ძეგლები, ხდებოდა ისტორიის ფალსიფიკაცია, იდევნებოდა რელიგია, ფოლკლორი, ხალხური შემოქმედება, მიმდინარეობდა ხალხის დევნა და დამცირება. ამის შემდეგ დღევანდელ დღეს ბელორუსიის არც ერთ ქალაქში და რაიონულ ცენტრში არ დარჩა არც ერთი ბელორუსული სკოლა. ბელორუსული ენა განდევნილია სახელმწიფო და საზოგადოებრივი სფეროებიდან. აი შედეგი კულტურული გენოციდისა, რომელსაც ჩვენ ვაფასებთ, როგორც ეროვნულ კატასტროფას.

ყოველივე ეს საკმარისია იმისათვის, რომ მთელი შთამომავლობების არსებობის აზრად ერის აღორძინება გადავაქციოთ. მაგრამ 1986 წ. მოხდა კატასტროფა, ჩერნობილის ატომურ სადგურს 5 კმ. აშორებს ბელორუსიის საზღვართან. აფეთქების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ქარები ბელორუსიის მხარეს უბერავდნენ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტონობით რადიოაქტიური ნივთიერებები დაილექა. უფრო მეტიც, როდესაც სტრონციუმ-ცეზიუმიანი ღრუბლები მოსკოვისაკენ შებრუნდნენ, ისინი ხელოვნური საშუალებებით ბელორუსიაში, პირდაპირ მოგილევის ოლქის მოსახლეობის თავზე შეაჩერეს. ხალხმა კი არაფერი იცოდა. ამ მოვლენებს დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ, როგორც რესპუბლიკის მოსახლეობისაგან, ასევე მსოფლიოსგან, რაც გარკვეულწილად დღესაც საიდუმლოა. არ არის მიღებული არავითარი ეფექტური ზომები, არ ასახლებენ ხალხს, ბავშვებსაც კი. ამ დროს კი რადიაციის დონე მოგილოვის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბევრად მაღალია, ვიდრე ჩერნობილის ზონაში, ზოგ ადგილას 1 კმ-ზე 45-დან 100 კიურიმდე აღწევს, დასაშვები დონე კი კვ.კმ-ზე 15 კიურია.

სიცოცხლისთვის ძალიან საშიშ ზონაში 100 ათასზე მეტი ადამიანია. ათობით ათასი ბელორუსი ბავშვი უკვე დაავადებულია ლეიკემიით, თუ არ ჩავთვლით სხვა, იმუნიტეტის დაქვეითებასთან დაკავშირებულ დაავადებებს, რომელნიც რადიაქტიურმა ზემოქმედებამ გამოიწვია. ჩვენი ბავშვების 25% უკვე დაავადებულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონალური უკმარისობით-იოდის იზოტოპებით დაზიანების შედეგი. დაიწყო კიბოს დაავადებების ზრდა, თუმცა მეცნიერთა პროგნოზით ეს პროცესი მოგვიანებით, 5 წლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. 2 წლამდე ბავშვების კიბოთი სიკვდილიანობის შემთხვევებიც ხშირია. მოგილევის ოლქის ბავშვებზე არავინ არ ზრუნავს, ისინი ზაფხულშიც კი არ გაჰყავთ საშიში ზონიდან. მოგილევის ბავშვებზე ზრუნვა გადაწყვიტა ბელორუსიის სახალხო ფრონტმა, მაგრამ ხელისუფლება არ აღიარებს სახალხო ფრონტს, დევნიან მის წარმომადგენლებს და ყველანაირად უშლიან ხელს. არავითარი თანამიმდევრული სამედიცინო დახმარება დაზარალებულთათვის არ არსებობს. ის რაც კეთდება პროფანაციაა- რადგან არ არის აუცილებელი აპარატურა.

ბელორუსიის მთელი სახნავი მიწების 1/5 იმდენადაა მოწამლული, რომ გამოსაყენებლად უვარგისია. მიუხედავად ამისა მას ამუშავებენ, და აწარმოებენ რადიაქტიურად მოწამლულ პროდუქტს - რძეს და ხორცს. ბელორუსიის მოსახლეობას დღემდე არა აქვს ინდივიდუალური დოზიმეტრები, თუმცა რესპუბლიკის მთელი ტერიტორია სხვადასხვა დონეზეა რადიაქტიური. და ყველაფერი ეს საიდუმლოებით არის მოცული. მოსახლეობის შეკითხვებზე პასუხები დამაწყნარებელი, არაზუსტი და არასრულია. პატიოსანი სპეციალისტები განგაშს ტეხენ. ხელისუფლების დამოკიდებულება ხალხის რადიაქტიურ ტრაგედიაზე, მისი დამალვა მსოფლიოსა და მოსახლეობისაგან, მათდამი დანაშაულებრივ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ. ჩერნობილის და მოგილევის ტრაგედია გენოციდის გაგრძელებაა. ეს არის ჩვენი ერის შეგნებული, გეგმაზომიერი განადგურება, დეგრადაცია, ჯანმრთელობის გაუარესება და გენეტიკური ფონდის შერყევა.

როგორც ეროვნულ-კულტურული, ასევე ფიზიკური თვალსაზრისითაც ბელორუსი ხალხი განადგურების ზღვართანაა მიყვანილი. ხელისუფლება ყველანაირად ხელს უშლის მოსახლეობის განზრახვას გლოვით აღნიშნოს თავისი ტრაგედიის 3 წლისთავი.

ქ. ბობრუისკში მილიციამ დაარბია ხალხი, რომლებიც ჩერნობილის ტრაგედიის წლისთავს აღნიშნავდნენ. მინსკში ხელისუფლება დევნის ხალხს, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩერნობილის ტრაგედიასთან დაკავშირებით გამოცხადებულ გლოვის საათსა და დუმილში.

რითი და როგორ შეიძლება ამის ახსნა? ბელორუს ხალხს ესაჭიროება დახმარება და შველა. არც რესპუბლიკის და არც სსრკ-ს მთავრობას არ შეუძლია ამ დახმარების უზრუნველყოფა, მათ ეს არ სურთ, მათ არ აწუხებთ უბედურებაში მყოფი ხალხის ბედი. აუცილებელია სამედიცინო შემწეობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მხარდაჭერა.

ზენონ პოზნიაკი
"ადრადჟენიე" ბელორუსიის სახალხო ფრონტი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დადგენილება №678 28 აგვისტო 1974 წ.

მოსკოვი – კრემლი

მოქალაქეთა ჩაწერის ზოგიერთი წესის შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში საცხოვრებელი ფართის რაოდენობის მიუხედავად იწერებიან: –

ა) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან ვადიანი სამსახურის დამთავრების შემდეგ განთავისუფლებული სამხედრომოსამსახურენი, თუ ისინი სამხედრო სამსახურში გაწვეულნი იყვნენ მოცემული დასახლებული პუნქტიდან, – იმ საცხოვრებელ ფართში, რომელსაც ისინი ფლობდნენ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე, ასევე მშობლების ან სხვა ნათესავების საცხოვრებელ ფართში;

ბ) თადარიგში დათხოვილი ან გადამდგარი ზევადიანი სამსახურის სამხედრო-მოსამსახურეები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების ოფიცრები, პირები შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი შემადგენლობისა და მათი ოჯახის წევრები – თადარიგში დათხოვილის თუ გადამდგარის ნათესავის ან მისი მეუღლის ნათესავის საცხოვრებელ ფართში;

2. მიუხედავად საცხოვრებელი ფართის რაოდენობისა უფლება ეძლევათ ჩაეწერონ დროებით საცხოვრებლად ჩამოსულები:

ა) თადარიგში დათხოვილი ან გადამდგარი ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები, და სსრკ შეიარაღებული ძალების, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების ოფიცრები (ოჯახის წევრებთან ერთად) იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობდნენ არმიაში გაწვევამდე ან სამხედრო სამსახურში შესვლამდე, იმ პირობით, თუ ისინი ამ დასახლებულ პუნქტებში ჩამოვიდნენ თადარიგში დათხოვნიდან ან გადადგომიდან 6 თვის ვადაში, ამ დასახლებულ პუნქტში მუდმივი საცხოვრებელი ფართის დადგენილი წესით მიღებამდე.

სსრკ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ა. კოსიგინი

სსრკ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. სმირტიუკოვი

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო | სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრკ მინისტრთა საბჭო დადგენილება №237-74 21 მარტი 1989 წ.

მოსკოვი – კრემლი

ამონაწერი

5. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ადგილობრივ აღმასკომებს – სსრკ შეიარაღებული ძალების რიცხობრივი შემცირების გამო თადარიგში დათხოვილი ან გადამდგარი ოფიცერთა შემადგენლობის, პრაპორშჩიკების, მიჩმანებისა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების (და მათი ოჯახის წევრების) არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე ჩამოსვლისთანავე, გადაუდებელი ღონისძიებები გაატარონ მათი დროებითი დაბინავებისა და საცხოვრებელი ფართის რაოდენობის მიუხედავად ჩაწერის თაობაზე, იმ დრომდე, სანამ არ მოხდება საცხოვრებელი ფართით ამ პირთა იმ დადგენილი წესით დაკმაყოფილება, რომელიც გათვალისწინებულია მე-19 დებულების პირველი აბზაცით სამხედრომოსამსახურეების, სამხედროვალდებულების, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პირებისა და მათი ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ, დამტკიცებული სსრკ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის №193 დადგენილებით.

ამასთანავე პრაპორშჩიკების, მიჩმანების და ზევადიანი სამსახურის სამხედრომოსამსახურეების საცხოვრებელი ფართით დადგენილი წესით უზრუნველყოფა მოხდეს იმ პირობით, თუ ისინი ნამდვილად მსახურობდნენ-პრაპორშჩიკებად, მიჩმანებად და ზევადიანი სამსახურის სამხედრომოსამსახურეებად ხუთ კალენდარულ წელს ზევით.

6. ოფიცერთა შემადგენლობის მუშაკებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებს, ზევადიანი სამსახურის სამხედრომოსამსახურეებს, ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან – ასაკით, ავადმყოფობით, შტატების შემცირებით ან ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობით გათავისუფლებულებს, ნამდვილ სამხედრო სამსახურში ნამსახურები პერიოდი ჩაეთვალოთ – წარმოებაში, დაწესებულებაში, გაერთიანებაში, ორგანიზაციაში, კოლმეურნეობაში, ან რომელიმე სხვა კოოპერატიულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟში, მათთვის აუცილებელი ფინანსური დახმარების გასაწევად – კოოპერატიული საცხოვრებელი ბინის ღირებულების სოციალური განვითარების ფონდის ხარჯზე დასაფარავად, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 მარტის №406 დადგენილების II პუნქტით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გორბაჩოვი

სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რიჟკოვი

სწ -357

---

### სსრკ მთავრობის ნოტა, რომელიც გადასცეს პოლონეთის ელჩს მოსკოვში 1939 წ. დილით 17 სექტემბერს

ბატონო ელჩო,

პოლონეთ-გერმანიის ომმა გამოავლინა პოლონეთის სახელმწიფოს შინაგანი უსუსურობა. საომარი ოპერაციების 10 დღის განმავლობაში პოლონეთმა დაკარგა თავისი ყველა მრეწველობის რაიონი და კულტურული ცენტრი. ვარშავა, როგორც პოლონეთის დედაქალაქი, აღარ არსებობს. პოლონეთის მთავრობა დაიშალა და სიცოცხლის არავითარ ნიშანს არ ავლენს. ეს გულისხმობს, რომ პოლონეთის სახელმწიფო და მისმა მთავრობამ ფაქტიურად შეწყვიტეს არსებობა. ამით შეწყვიტეს თავისი მოქმედება სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის დადებულმა ხელშეკრულებებმა. თავის თავთან, უხელმძღვანელოდ დარჩენილი პოლონეთი გადაიქცა მოსახერხებელ ტერიტორიად ყოველგვარი შემთხვევითობისა და მოულოდნელობებისათვის, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან სსრკ-ს. ამიტომ, აქამდე ნეიტრალურად მყოფ საბჭოთა მთავრობას ნეიტრალიტეტის დაცვა ამ ფაქტების გამო – აღარ შეუძლია.

საბჭოთა მთავრობას არ ძალუძს აგრეთვე გულგრილად უყუროს იმას, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოძმე უკრაინელები და ბელორუსები, ბედის ანაბარად მიტოვებულები დამცველის გარეშე არიან დარჩენილები.

ასეთი მდგომარეობის გამო საბჭოთა მთავრობამ წითელი არმიის მთავარსარდლობას დაავალა, გასცეს ბრძანება ჯარების საზღვარზე გადასვლისა და უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის სიცოცხლისა და ქონების დაცვის თავის თავზე აღების შესახებ.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მიმართოს ყველა ზომას იმისათვის, რომ დაიხსნას პოლონელი ხალხი ამ ბედკრული ომიდან, რომელშიც იგი ჩათრეული იქნა უგუნური ხელისუფლების მიერ და მისცეს მას შესაძლებლობა იცხოვროს მშვიდობიანი ცხოვრებით.

ირწმუნეთ ბატონო ელჩო ჩვენს სრულ პატივისცემას თქვენდამი

სსრკ საგარეო საქმეთა
სახალხო კომისარი
ვ. მოლოტოვი

---

### კვლავ არმიის შესახებ

ლეონიდ ბატკინი.

,.... XX საუკუნის რუსეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი და სასირცხვილო – ავღანეთის ომი, ბოლოს და ბოლოს დამთავრდა...

მაგრამ ძველებურად გამოუქვეყნებელია სიმართლე ამ ომის საშინელებათა შესახებ. არ არის მიცემული პოლიტიკური შეფასება აგრესიისა და საომარი ოპერაციების მიმდინარეობის მეთოდების შესახებ. მთელს მსოფლიოში უდაოდ ითვლება ის ფაქტი, რომ ავღანეთში ჩვენი არმია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ისეთ მოქმედებებს მიმართავდა, რომლებიც ჩვენს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო სამართლებრივ კონვენციებში კვალიფიცირებულია, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინაშე. საჭიროა ან მსოფლიოს გადარწმუნება, უარყოფა მთასავით დახვავებულ სამხილთა – ავღანეთში საბჭოთა მხეცობების შესახებ, ან დამნაშავეთა გასამართლება და სიბილწისაგან განწმენდა. გარდა ამისა ცნობილია, რომ ავღანეთშიც იყო "დედოვშჩინა", "ნარკომანია" და არმიის გახრწნის დამადასტურებელი სხვა მშვენიერებანი... სადესანტო პოლკი კიროვობადიდან, რომელიც თბილისში 9 აპრილის ღამეს მოქმედებდა, უწინ ავღანეთში იბრძოდა. სირცხვილი იყო მოსმენა ჩერვონოპისკის იმ გულისამაჩუყებელი სიტყვების, რომ ის ყმაწვილები "შველოდნენ ავღანელ ქალებსა და ბავშვებს". არა, ღმობიერებას კი არა, სისასტიკეს ასწავლიდა ომი. შველასა და გადარჩენას კი არა, მოკვლას ასწავლიდა იგი ყმაწვილებს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ სრული სიმართლე ავღანეთზე, სრული სიმართლე, რომელიც, როგორი საწყენიც არ უნდა იყოს ეს, გამორიცხავს ფალსიფიცირებულ რომანტიზმსა და გმირობის იდეალიზაციას მათ მიერ, ვისაც მძიმე ხვედრად იქ ბრძოლა ერგო, მით უმეტეს, რომ ეს ცინიზმით სიტყვა – "ინტერნაციონალისტის" სტალინისტთინდელ მანიპულირებას არ ჩამორჩება..

არმიის ისტორია – ნაწილია ჩვენი საერთო ისტორიისა, რომელშიც იყო და გრძელდება ნოვოჩერკასსკი და თბილისი. ჩვენ ვერ გავბედავთ დავივიწყოთ, რომ ნაციზმისგან ბუდაპეშტისა და პრაღის განმანთავისუფლებელი არმია, იქ ხელახლა შევიდა 1956, 1968 წლებში, უკვე არა როგორც განმანთავისუფლებელი...

საზოგადოებრივი აზრის დამუშავება ლოზუნგებით ჩვენი მშობლიური არმიისა და "ხალხის ღვიძლის" შესახებ დღესაც გრძელდება.

ნუთუ არ შეიძლება ჩვეული სამხედრო – "პატრიოტული" ხუთვის გარეშე, საღად და უფრო მეტი პასუხისმგებლობით შევხედოთ მოვლენებს?.."

ექვსი ევროპული პერიოდული გამოცემის პირველ ფორუმზე ნათქვამი სიტყვიდან

1989 წ. 5 ივნისი,
მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქ.მარნეულსა და მარნეულის რაიონში მოქმედი ანტიქართული მოძრაობის ლიდერთა სია

(1989 წლის სექტემბრის მონაცემები)

1. ხალილოვი პაჯიმურადი ისმაილ ოღლი *** – ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავ-რე 2-24-05 (ბინა), 2-26-26 (სამს.)
2. მამედოვი ოდარი*** ქალაქის პურპროდუქტების მიმღები კომბინატის გენერალური დირექტორი 2-23-32 (ბინა), 2-15-27 (სამს.)
3. გასანოვი ვახიდა *** – ქ.მარნეულის ავტო-სატრანსპორტო საწარმოს დირექტორი 2-22-85 (ბინა);
4. მამედოვი აბდულა *** – რაიონის ნოტარიუსი – 2-11-11 (ბინა)
5. გასანოვი აივაზ დურსენ ოღლი *** – საქ.აგრომრეწვის თავ-რის მოადგილე 2-20-66 (ბინა)
6. მამედოვი შაქირა *** – ქ.მარნეულის მცხოვრები, მუშა-არაფორმალურ გაერთიანებათა აქტივისტი
7. გასანოვი აკიფა **– ქ.მარნეულის აღმასკომის ინსტრუქტორი
8. კალაევი სულთან * – ქ.მარნეული
9. ალიევი ამირხან ალი ოღლი ** – ქალაქის აგიტაცია პროპაგანდის განყოფილების ყოფილი გამგე, პენსიონერი
10. მურსაკულოვა ფარი ხანუმ ***– გაზეთი "ახალი მარნეული", რედაქტორის მოადგილე
11. გაჯიევი რაფიკა * – მხატვარ-გამფორმებელი ქ.მარნეული
12. ბუდაგოვი ტელმანი ** – ქ.მარნეული, უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
13. მამედოვი ქამილ სულეიმან ოღლი *** – საქ.კპ მარნეულის რაიკომის I მდივანი, 2-22-55 (ბინა)
14. კასუმოვა შახნაბად კასუმ კიზი *** – საქ.კპ მარნეულის რაიკომის მდივანი 2-20-78 (ბინა), 2-23-23 (სამს.)
15. გაჯიევი თოფიკ მამედ ოღლი *** – აგიტ.პროპაგანდის განყოფილების გამგე –2-20-40 (ბინა) 2-12-64 (სამს.)
16. უმბათოვი ალახვერდი ალი ოღლი ***–რაიონის სახ.კონტროლის თავ-რე – 2-27-27 (სამს.)
17. ასლანოვი ისა ასლან ოღლი ** – რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის პროფკავშირების თავმჯდომარე
18. მამედოვა ლეილა ** –ქ.მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს მთ.ექიმის მოადგილე
19. იუსუბოვი მამედა ** – მარნეულის რაიკომის კომკავშირის I მდივანი 2-29-29 (სამს.)
20. გოლაევი თოფიკა ალი ოღლი ** – საქ.კპ მარნეულის რაიკომის ინსტრუქტორი
21. ნურმამედოვი ტამერლანი ** – მარნეულის რაიაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე /საზ."ნიზამის" თავ-რე/.
22. დემურჩიევა ფლორა მუსა კიზი *** – სსრკ სახალხო დეპუტატი
23. ალიევი ზურფიგარა ** – ქ.მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს კარდიოლოგი
24. მამედოვი მუხტარაა ** – ქ.მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს ქირურგი
25. ტაზილოვი სადრადინ * – საქ.კპ მარნეულის რაიკომის აგიტაცია პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორი – 2-15-91 (ბინა)
26. მამედოვი ნიზამი ზილი ოღლი ** – საქ.კპ მარნეულის რაიკომის აგიტაცია პროპაგანდის ინსტრუქტორი
27. გასანოვი ქამალ ნადირ ოღლი ** – მარნეულის აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიული ჯგუფის უფროსი 2-12-79 (ბინა)
28. გოჯაევი ალი ორუჯ ოღლი ** – "მეგობრობის" საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
29. გასანოვი ალი გასან ოღლი ** – აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
30. უმბატოვი რამიზ იოლჩი ოღლი ** – ყიზილაჯლოს მეურნეობის დირექტორი 2-24-14 (ბინა)
31. მამედოვი რამინ აბდულ ოღლი ***– აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომისტი
32. აბასოვი ვაგიფა ***– აგროსამრეწველო გაერთიანების მთ.მიწათმომწყობი
33. კოჯაევი რამიზა – აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
34. გასანოვი ზაქირ ქემალ ოღლი *** – ქალაქის კომკავშირის I მდივანი 2-24-52 (სამს.)
35. განიევი პასანა ** – რაიონის ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე 2-24-59 (სამს.)
36. ქარიმოვი იმრან ქერიმ ოღლი *** – პენსიონერი – ყოფილი პროფკავშირების თავ-რე
37. მამედოვი ფოლადი **– მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის რწმუნებულთა უფროსი
38. განიევი ადილხან * – მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელი
39. რაზაევი რახიდ ** – მარნეულის შულავრის ს/საბჭოს თავმჯდომარე
40. კირაჩლი ქემალ ***– გაზეთ "ახალი მარნეულის" პასუხისმგებელი მდივანი
41. უმბატოვი ნატიკა ** – საზოგადოება "ნიზამის" ერთ-ერთი ლიდერთაგანი
42. ბაირამოვი ნოვრუზა *** –ალგეთის პროფტექნიკუმის დირექტორი
43. მირზოევი ხალით მუსტაფა ოღლი ** – სოფ.ბაილარის მცხოვრები
44. იაკუბოვი გუილარი ** – ფოსტა-ტელეგრაფის ყოფილი უფროსი 2-22-32 (ბინა)

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

შენიშვნა: *** – ანტიქართული მოძრაობის მთავარი ლიდერები
** – ლიდერები
* – აქტიური მონაწილეები

### 1988 წ. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა

| №№ | რაიონები | ეროვნული შემადგენლობა: სულ | ქართველი | რუსი | სომეხი | აზერბაიჯანელი | ბერძენი | უკრაინელი | ოსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ადიგენის | 20.400 | 18360 – 90.0% | 449 – 2.2% | 1285 – 6.3% | – | | | |
| 2. | ასპინძის | 12.853 | 9999 – 77.8% | – | 2750 – 21.3% | – | | | |
| 3. | ახალქალაქის | 69,525 | 3067 – 4.4% | 1788 – 2.5% | 63692 – 91.7% | 142–0.06% | 70 – 0.01% | 420 – 0.6% | |
| 4. | ახალციხის | 51300 | 22110 – 43.1% | | 24.470 – 47.7% | | | | |
| 5. | ბოგდანოვკის | 39493 | 39 –0.01% | 3462 – 8.[illegible] | 35.974 – 91.0% | | | | |

ანონიმური მიმართვა...

„ადამონ ნიხასი“Ს

## მიმართვა ოსი ხალხისადმი!

ძვირფასო თანამემამულეებო! ჩვენ ვდგევართ დიადი ისტორიული არჩევანის წინაშე, რაზედაცაა დამოკიდებული ჩვენი ხალხისა და ოსეთის ბედი. დღეს ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი, რომელიც წაგვიყვანს ნაციონალური აღმავლობის გზით, შეგვიცსებს ნაციონალურ სულიერ სიმდიდრეს, მოპოვებულს ათასწლოვანი ისტორიით, რომელიც დაბადებულია ევროპისა და აზიის სივრცეზე და რომელიც ჩვენ ასე უგულოდ და უშკუოდ დავკარგეთ რამოდენიმე ათასწლეულის მანძილზე.

არაფერია ოსისათვის იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე მისი სამშობლო და მისი ენა. ჩვენს ენაშია თავისუფალი სულისა და ამაყი ხასიათის მდიდარი ტრადიციის, ეპიკური განცდებისა და რელიგიური სარწმუნოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ჩვენ არ გვინდა გავიგოთ მთელი ტრაგიზმი იმ ხალხის დღევანდელი მდგომარეობისა, რომელთაც არ აქვთ ნაციონალური სკოლები და არ შეუძლიათ თავიანთ შვილებს ასწავლონ მშობლიური ენა ოსურ სკოლებში. ოსებს ოსეთში არა გვაქვს ოსური სკოლები! არის თუ არა ეს ნაციონალური თვითშეგნების კრახის დადგომა?! არის თუ არა ეს ის საშიში გზა, რომელსაც თვითგანადგურება ჰქვია?!

ჩვენ დავთანხმდით ჩვენი ენის არასრულფასოვნებაზე, და არ გვესმის, რომ ამით ჩვენ ხელს ვაწერთ ჩვენსავე არასრულფასოვნებაზე. ამიტომ ხომ არ არის, რომ ასეთი დრამატული სიმსუბუქით უარვყოფთ ჩვენივე ენის შესწავლას და დანაშაულებრივი შკუასუსტობით გაპაცებული ვართ სხვა დანარჩენებით.

განათლებისა და იდეოლოგიის ხელმძღვანელ მუშაკთა ნაციონალური უყაირათობისა და უმეცრების წყალობით დიდ ალანთა ენა დადგა გამოფიტვისა და გადაშენების უფსკრულის წინაშე.

ჩვენ ძალიან ჩქარა დავივიწყეთ მათი სახელები, რომლებმაც გუშინ შესწირეს თავი ოსთა განათლებას, მშობლიური ენისა და ხალხთა სულის აღორძინებას, ვივიწყებთ დიადი კოსტას დამსახურებას! სადღაც უკან დაგვრჩა ის დიადი დრო, როდესაც ოსები დაჯიოდნენ ოსურ სკოლებში და პირველ სიტყვას წერდნენ თავის მშობლიურ ენაზე ლათინური ალფაბეტით, რომელმა ღმერთებმა აგვირიეს გონება, რამეთუ ჩვენ აღარ გვესმის თუ რა კატასტროფულია გზა, რომლითაც ჩვენ მივდივართ, ვფანტავთ რა ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალს უკიდეგანო ქვეყნის ყოველ მხარეს, თავისი ხალხისა და სამშობლოს მსახურების წმინდა ვალს ისინი სწირავენ თავის წუთიერ ინტერესებს, პირად კეთილდღეობასა და სიმშვიდეს. რომელმა მათგანმა მოუტანა ოსეთს სარგებელი? რომელმა მათგანმა დაგვიჭირა მხარი ესოდენ მძიმე დროს? რომელი მათგანი დათანხმდება მიატოვოს სიმშვიდე და კომფორტი და შეავსოს ჩვენი გამეჩხერებული რიგები? ვინ არიან და სად არიან ისინი?

ძვირფასო მშობლებო! ის სიყვარული, რომელსაც მიიღებენ ჩვენი შვილები მშობლიური ენის შესწავლით თავის ენაზე, გაჰყვებათ მათ მთელი ცხოვრების მანძილზე. ცოდვაა ადამიანი, რომელიც ბავშვობიდანვე ვერ შეიგრძნობს დედის ალერსს, მითუმეტეს სიბრალულის ღირსია იგი, ვინც ბავშვობიდანვე განუდგა თავისი ხალხისა და სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს გრძნობას, ამ სიყვარულს ადამიანის სულში ვერაფერი შეცვლის.

მაშ რა გვიშლის ხელს, რომ გადავდგათ ეს წმინდა ნაბიჯი, რთული, მაგრამ საჭირო, როგორც ჰაერი, რა იოლად უარვყავით ჩვენი – სკვითების, სამარიტებისა და ალანების დიადი ისტორია და ვდგევართ გზაზე, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ხალხი სულიერი გაღარიბების, სხვა ხალხში აღრევისა და უბადრუკი წუთიერი სარგებლობისაკენ, რომლ'ს მიღმაც არს კრახი ჩვენი ნაციისა, დავიცვათ ჩვენი ენა და ავაღორძინოთ სახალხო სკოლები! ავაღორძინოთ უმდიდრესი ისტორია და ჩვენი შთამომავალი იამაყებს ჩვენით, მათით, ვინც გადადგა პირველი ნაბიჯი, რათა დაებრუნებიათ ღირსება და სიამაყე ალანთა უძველესი მოდგმისა.

ეს გზა გრძელია, როგორც ცხოვრება და ჩვენ მოვიპოვებთ დიდებასა და უკვდავებას!

და, გვწყალობდნენ ჩვენ ჩვენი ღმერთები და დაე მოვიდეს ჩვენთან სიხარული და შკუამახვილობა ჩვენს საქმეებში, რომელთაც ჩვენ ვიწყებთ!

დაე მესამე ათასწლეულში თავისუფალნი და თანასწორნი შევიდეთ თავისუფალ ცივილიზებულ ხალხთა ერთიან ოჯახში!

## მამულიშვილნო, ქართველნო, გეთაყვანეთ!



დასრულდა მოწამებრივი გზა დიდი მამულიშვილისა, ჩვენი ძმისა და მეგობრის, ყველა ქართველისათვის საყვარელი მერაბ კოსტავასი.

ჭეშმარიტად დიდია ღვაწლი, რომელიც მან დასდო საქართველოს თავისი თავდადებით, შემართებით, სიბრძნით, მაღალი ზნეობით, მაღალზნეობრივი მაგალითით.

ძმანო, დღევანდელი დღე 9 აპრილის ტოლია. ღვთის დიდება გადმოვიდა საქართველოზე, რამეთუ ამაღლდა დიდი ქართველი და დაპნაოის საქართველოს, ვითარცა წამებულნი 9 აპრილისანი და მოგვიწოდებს თავდადებისკენ, მამულის სიყვარულისკენ, ურთიერთ სიყვარულისკენ. თავისი დიდი გულით მერაბ კოსტავამ გააერთიანა საქართველო. მას ყველა უყვარდა, რამეთუ უწყოდა: უკეთუ არ შევიყვარეთ ურთიერთი, არ შეგვიყვარებს უფალი, ვერ გადარჩება ჩვენი სამშობლო. აი ეს არის მერაბის ანდერძი-სიყვარებულ ურთიერთას, აი მერაბის კრედო ცხოვრებისეული, აი ის მიზანი, რომლისკენაც უნდა ვილტვოდეთ ჩვენ.

ძმანო, მოვექცეთ სარწმუნოებაზე, დავიბრუნოთ წინაპრების სარწმუნოება, რამეთუ წარვწყმდებით სიმრავლეთაგან ცოდვათა ჩვენთარსა; უკეთუ არამოვექცეთ, მოვწყდეთ ცოდვათა შინა - აი მერაბის ანდერძი, ძმანო! ვემსახუროთ უფალს, რომელსაც მსახურებდნენ ჩვენი წინაპრები, განვწმინდოთ გულნი ჩვენნი, აი მერაბის ანდერძი, ძმანო!

რაღად უნდა რეფერენდუმი საქართველოს, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა აღიარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდის დიდება, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა ამოაცილა მერაბი წინაპართა, წმინდანთა და მოღვაწეთა სამკვიდრებელში. განა მერაბთან ერთად ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა არ ამოვიდა აქ, ძმანო? განა არ განიწმინდა ამით ჩვენი მოძრაობა, ჩვენი ერი?!

ძმათ, დამუნჯებული ვართ მწუხარებისაგან. გაგვიშრა ცრემლი შენს ძმებს, გაგვიშრა ცრემლი, მძიმეა ტვირთი, რომელიც შეგვატოვე მხრებზე, ძმაო! უტყვია მწუხარება, ვეღარ მითქვამს გულის ნადები. იმას კი გეტყვი, ჩვენს გულებში ანთებული სანთლები გაგვინათებს გზას სულეთისას, ვითარცა შენი ხატება გაგვინათებს ჩვენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

დიახ, ძმაო, მთელი საქართველო დატირის, მაგრამ შენ აღაზევე დღეს საქართველო! აღაზევე შენი მსხვერპლით, რამეთუ არ შეუშინდი სიკვდილს. ძმაო, შენი ცხოვრება ვეფხისა და მოყმის ბრძოლას ჰგავდა, და არც შენ შახვდი, ძმაო, ვეფხს ჭკვიანი.

მრავალჯერ გაგატრთხილე, მრავალჯერ გთხოვე: შენი ძვირფასი სიცოცხლე შეგვინარჩუნე, მაგრამ შენ მუდამ მაღლა იდექი ყოველგვარ შიშზე, მუდამ მაღლა იდექი ყოველგვარ სულმოკლეობაზე! წინაპრების სასუფევლიდან მოველგვარ სულმოკლეობაზე! წინაპრების სასუფევლიდან მოგვივლინა უფალმა წინაპარი ჩვენი აღმდგარი, რამეთუ დავეცით, რამეთუ ვუღალატეთ სარწმუნოებას, ვუღალატეთ ზნეობას, ვუღალატეთ ერს! და იგი მოგვევლინა, რათა შთაგვბეროს სული გმირობისა, შეუპოვრობისა, მამულისთვის თავდადებისა. აწ აღვსდგეთ და მივსდიოთ მაგალითს მისას, რათა ვიხსნათ ერი ჩვენი გათელილი მტრის ჩექმის ქვეშ, იგი გაგვიძლვება ძმანო! იგი არ მომკვდარა, იგი კვლავ შეგვასმენს თავის გმირულ შაილგოს, კვლავ შეგვასმენს და კვლავ დაამხობს მტერს, დაამხობს მტერს და გაათავისუფლებს საქართველოს!

საუკუნოდ იყოს, ძმაო, ხსენება შენი! შენი ერი შენთან არის, შენს მიერ გაღვიძებული ივერი შენთან არის, ძმაო, დიდი ილიას გვერდით დამკვიდრებულო!

21 ოქტომბერი
1989 წელი.

---

### როდემდე უნდა გვჯიჯგნოს იმპერიამ?!

ბელორუსიის სსრ, მინსკის ოლქი, ლოგოისკის რაიონი, დაბა სოკოლი, ს/ნ 27897

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

აქ არის სასწავლო ცენტრი - ე.წ. "სერჟანტთა სკოლა".

აქ ნახევარწლიანი სწავლების შემდეგ ჯარისკაცები ნაწილდებიან საბჭოთა იმპერიის ნაწილებში. ეს ნახევარი წელი არის ადამიანის უფლებათა მხეცური შებღალვის, უსასტიკესი მოპყრობის, აბუჩად აგდების, უამრავი შეურაცხყოფის პერიოდი. რა თქმა უნდა, ინსპირატორები არიან ყველა რანგის ოფიცრები, შემსრულებლები კი - სერჟანტები. ნახევარწლიანი ტანჯვა-წამების შემდეგ მათ "ასაჩუქრებენ" სერჟანტის წოდებით. სინამდვილეში კი ისინი "დასაჩუქრებულნი" არიან ნერვული სტრესებით, სულიერი ფსიქიკური მოშლილობით და სხვ.

უნდა აღინიშნოს, სერჟანტთა აღზრდის საზიზღარ მეთოდებს იყენებენ ყველა ეროვნების ჯარისკაცთა მიმართ, მაგრამ მაინც განსაკუთრებით ხდება... ქართველთა გამორჩევა.

### უკრაინის სსრ, ლვოვის ოლქი, ქალაქი ზოლოჩევი

- - - - - - - - - - - - - - -

ეს არის გასამხედროებული ქალაქი. აქ იმყოფება უკრაინა-მოლდავეთის შინაგანი ჯარების "სერჟანტთა სკოლა".

აქაც ზუსტად იგივე მდგომარეობაა. ამ ქალაქში არის სხვა სახეობის ჯარების სასწავლო ცენტრები. ამ ნაწილებშიც იგივე საშინელი შაბლონური მეთოდები არის დანერგილი.

ფაქტები მიღებულია ჯარისკაცებისაგან. მათ მთხოვეს გვარები არ დამესახელებინა. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ იქნებ ვინმე ჩამოვიდეს ამ ნაწილებში ოქტომბრის შუა რიცხვებამდე და აგრძნობინონ, რომ საქართველო არ არის გულგრილი მათი ბედის მიმართ.

სოკოლში თურმე შიმშილობის გამოცხადებას აპირებდნენ ქართველები, მაგრამ აზრი როად გაიყო.

ამ ორ სხვადასხვა სიდიდის საკონცენტრაციო ბანაკს შორის მანძილი 630 კმ-ია, მაგრამ 10-ჯერ მეტიც რომ იყოს, ზუსტად ანალოგიური სიტუაცია დაგვხვდებოდა.

საბჭოთა იმპერიაში არის ასობით ე.წ."სერჟანტთა სკოლები", სადაც აუტანელ ტანჯვა-წამებაში იმყოფება ჩვენი თანამემამულეები. ეს საკონცენტრაციო ბანაკები სისასტიკით მხოლოდ ზოგიერთი ტიპის ჰაუპტვახტებსა და დისციპლინებულ ბატალიონებს ჩამოუვარდებიან.

ნუთუ არ დადგა დრო, ძვირფასო მშობლებო, რომ ყველამ შევიგნოთ და უარი განვაცხადოთ შვილების გაგზავნაზე სავალდებულო სამხედრო "კატორღის" მოსახდელად საქართველოს ფარგლებს გარეთ?!

კახა მარგიანი

---

მამულო საყვარელო...

### ის რაც ყველასათვის საგანგაშოა:

• • •

დღეს საიდუმლო აღარ არის, რომ ჩვენი დედაქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა - საგანგაშოა. თბილისის სანეპიდსადგურები და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათანადო სამსახურები ყოველდღიურად აფიქსირებენ საცხოვრებელი მასივების, ორგანიზაციების, წარმოებებისა და დაწესებულებების ირგვლივ შექმნილი მოსალოდნელი ეპიდემიური ავადმყოფობების გავრცელების საშიშ კერებს; შეძლებისდაგვარად იბრძვიან მათ წინააღმდეგ...

მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ეროვნული სულის გაჯანსაღებაზე, ადამიანის ზნეობრივ და მორალურ სისუფთავეზე, განა შეიძლება გულგრილნი ვიყოთ ჩვენს ქალაქში შექმნილი მართლაც რომ საგანგაშო სანიტარული მდგომარეობის მიმართ?!

ქუჩებში, წარმოება-დაწესებულებების ტერიტორიებზე, საცხოვრებელი სახლების ბუნკერებთან დაყრილი ნაგვის, მწერებისა და მღრღნელების სიმრავლე აბინძურებს გარემოს, ჰაერს, ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას და ბოლოს - ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას ქმნის.

თუ ჩვენ ამ პრობლემას ვერ მოვერევით, განა შევძლებთ ჩვენს წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების მოგვარებას?!

მოვუწოდებთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენს მომავალზე - ვიყოთ ჭეშმარიტი მამულიშვილები და გადავაქციოთ საქართველოს დედაქალაქი შინაგანი და გარეგნული სისპეტაკის სიმბოლოდ!

• • •

მოსპეს და კალიებივით შეესივნენ თბილისის ახლომდებარე სოფლებს, თანამდებობის პირნი და ფულიანი მებაღეები. ნადგურდება სოფლების მიწები და სოფლის მოსახლეობას აღარა რჩება-რა იმის გარდა ან მიატოვოს თავის სოფელი, ანარადა ქალაქის მოსახლეობისათვის კუთვნილი პროდუქტებით იცხოვროს.

განადგურების პირზეა მისული სოფლები საგურამო, წეროვანი, მისაქციელი, გალავანი, არაშენდა, ნატახტარი, თხინვალი, წავკისი, ბეთანია, ტაბახმელა, შინდისი და სხვები.

სადამდე უნდა ისხდნენ ამ სოფლების გამანადგურებელი ხალხი თანამდებობებზე და ოცდაათ ვერცხლად ყიდდნენ, მოძმეთა და მამულს.

მოვითხოვთ სასწრაფოდ გაუქმდეს ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მთავრობამ მიიღო აღნიშნული სოფლებიდან ტერიტორიების გამოყოფაზე. იქნებ დღევანდელ მთავრობას შევახსენოთ, რომ ამ თანამდებობის პირთა მაღალ სავარძლებში დატოვება არა მარტო ერის ღალატია, არამედ ქვეყნის დამღუპველიცაა, მათ მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი ამ დანაშაულისათვის. მათვე უნდა აცნობონ საზოგადოებას აფხაზეთში მაისის თვეში ვისთვის ან რისთვის გამოიყო 500 ჰექტარი მიწა?

---

თ ბ ი ლ ი ს ი - მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს მთავრობის სახლის წინ მსხდომ გაფიცულებთან შეერთების შემდეგ 5 ნოემბერს კვლავ განახლდა და გრძელდება:

• 11 ოქტომბერს, სპორტის სასახლის წინ დაწყებული საბჭოთა საოკუპაციო არმიაში სამსახურის წინააღმდეგ მიმართული მჯდომარე გაფიცვა. გაფიცულთა რიცხვმა 300-ს მიაღწია.

აქციას შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან: გორიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ახალციხიდან ჩამოსული წვევამდელები.

აქციის მონაწილეებმა თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს ქობულეთელ წვევამდელებს, რომელთა მშვიდობიანი მჯდომარე პროტესტი - აჭარის ასსრ შსს განკარგულებით, მილიციელთა მიერ იქნა დარბეული.

თუ შეიძლება სარწმუნოდ ჩაითვალოს საქართველოს ხელისუფალთა სიტყვიერი დაპირება, არმიაში სამსახურის ბოიკოტისათვის - წვევამდელებს, სამართალდამცველი ორგანოების წინაშე წარდგომის საშიშროება არ ემუქრებათ.

• 26 ოქტომბერს, სამხატვრო გალერეის წინ საქართველოს ხელისუფლებისადმი უნდობლობის ლოზუნგით მიმდინარე აქცია.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველი საზოგადოებრიობის მიერ მთავრობისათვის წაყენებული მოთხოვნების დაპირებულ ვადებში (17 ოქტომბრამდე) დაუკმაყოფილებლობის გამო, აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის 66-მა წარგზავნილმა - საქართველოს ხელისუფლებისადმი პროტესტი - დედაქალაქში, რუსთაველის გამზირზე მჯდომარე გაფიცვით გამოხატა. დელეგატთა დიდი ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიიდან არ გამოუშვეს...

აქციაში მონაწილეობენ აფხაზეთში მცხოვრები არაქართველები: აფხაზი, სომეხი, ბერძენი. გაფიცულთა შორის არიან ქალები.

მჯდომარე გაფიცვა გაგრძელდება ხელისუფლების მიერ ქმედითი ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელების დაწყებამდე.

ორივე აქციის მონაწილეთა რიცხვი დღითიდღე მატულობს.

• • •

გაზეთის რედაქცია გაცნობებთ, რომ:

"ქართვლის დედაზე" დაყრდნობით გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვისას რედაქციის თანხმობა საჭირო არ არის.

დაინტერესებულ მკითხველს ხვდება ყოველ ხუთშაბათს, ლურჯ მონასტერთან, 18-20სთ-ებში.

რედაქტორი: ცაცო კორკელიანი
კონსულტანტი: ზვიად გამსახურდია

ნომერზე მუშაობდნენ: დარეჯან ფოლუანი,
გიზო კოჩაძე (ტელ. 34-26-71, 93-20-45),
ნაზი ფაილენიშვილი (ტელ. 36-[illegible]-59)